

შინაური საქმეები.

ყოველ-კვირული გაზეთი

№ 25-26.

შანი ერთი შაური

წლიური შანი 4 მან.

წელიწადი მიეჭება.

კვირა, 18 აგვისტო 1913 წელი.

ყოველ-კვირული გაზეთი

ხელას მოწონა მიიღეს რედაქციამ, ქ. ქუთაისში (საერთაშორისო) — კაზაკოვის ქუჩის

საბუღალტრო № 17). და თვითონ გამოდგომულთან სომხის პაზარში, სომხიანანის ქუჩის მდებარეობა. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	4 მანეთი.	სამთვიური ფასი:	1 მანეთი.	ერთი თვე:	2 აბაზი.
სახ. წლიური:	2 მანეთი.	სამთვიური:	1 მანეთი.	ერთი თვე:	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულას შემოტანა წლიური ფასის მოსწავთავის შემთხვევაში განაწილდეს: თვედგან 2 მ. და 1 იანის 2 მ. განსხვავების ფასი წინა გვერდზე მუდმივ სტოქიანი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შანაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. ქუთაისი 18 აგვისტო — ხელი; 2. ჩინორდენების მოყვარულ ადამიანების საყურადღებოთ — სიტყვა ეპ. გაბრიელისა; 3. რამდენიმე სიტყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ — დურნოვო; 4. სახ. სათათბირო. უწ. სინოდის ხარჯთაღრიცხვა (დასასრული); 5. ჩვენი სამრევლო შკოლების გამოგეთა მოწყობა — ხელი; 6. სიტყვა მღ. ნ. ინწკირველის მიერ ეპ. გაბრიელის გადაცელების გამო; 7. რა დაეშავე — ლ. ბზენელი; 8. მოწერილი ამბები ა) სასაძილოა რომ სამწუხარო არ იყოს — მისწ. ნ. ქამუშაძე; 9. თხოვნა ქართველ მაჰმადიანი მოღისა — იასონ კერესე — ძე; 10. ზუგდიდის მეორე-კლასიანი საქალები მისწ. ბედი — სოფ. მღვდელი; 11. მიტროპოლიტი გრაფი ა. შეპტიცი; 12. მადლობის გამოცხადება.

ქუთაისი 18 აგვისტო.

თითქო განძრახ უნდა დაამციროს, დააკინოს, სასაცილოდ გახადოს ზედმა სამღვდლოება და თელათ სასულიერობა. ყველა წოდებას რალაც წარმატება ეტყობა, ყველა წინ მიიწევს ნიუთიერად და გონებრივად, სასულიერობა კი სულ უკან-უკან მიდის და აღარ აქვს საზღვარი მის უკან სვლას. სხვა წოდება რომ განათლებას, კოდნის შეძენას და გონიერულ ცხოვრებას ესწრაფება, სასულიერობა თავის უმაღლეს წარმომადგენლების პირით ქადაგობს, სამღვდლოებას სწავლა-განათლება არ ეჭირვება. იგი უფიცი უნდა იყოს და ერთი იოტიოაც არ განიზრჩოდეს თავის სამწყსოსაგანო. გასაკვირვებელი ამ შემთხვევაში ის უფროა, რომ მაგალითისათვის მოციქულები მოწყაეთ, რომელნიც მათი აზრით უსწავლელნი იყვნენ, მაგრამ მთელი ქვეყანა მოინადირეს. არ აძლევენ კი ეს ვაჟბატონები ანგარიშს იმ გარემოებას, რომ მოციქულებს მთელი 3 1/2 წელიწადი ასწავლიდა თვით ღმერთთა კი სიტყვიით



და საქმით, შემდეგ მათზე განსაკუთრებული ძალით გადმოვიდა სული წმიდა და, სხვათა შორის, უცხო ენებზედაც კი ალაპარაკა. გარდა ამისა იმ ხანებში ხსენებაც ირ იყო იმ მეცნიერებისა, რომელიც დღეს თითქმის მთელ ქვეყნიერებას ბირში უკავია და რომლის ძალითაც გაბედულათ გამოდის რელიგიის წინააღმდეგ. მაღალ სფეროში მოფარფაშე, ჯიბა-დასქვლებულ ბერებს ჰგონიათ, რომ ხალხი ისევ პირველყოფილ მდგომარეობაშია, რომ მას არ მიკარებია თანამედროვე უარყოფითი კრიტიკა. გასაკვირალიც არ არის, ასე სჯიდნენ, რადგან იგინი ხალხს ვერ იცნობენ და მათ ხალხი ვერ იცნობს. ან კი რათ ექირვებათ მათ სამღვდლოების გონებრივი განვითარება და მომზადება, როცა უამისოთაც თავს ძალიან კარგათ გრძობენ. მთელი დაციწვა, ქირღვა, დამკირება, შეურაცხება ხომ მარტოთ მარტო დაბალ სამღვდლოებას ატყდება თავზე და იგივეა პასუხის მგებელი ხალხის წინაშე, რომელიც სამართლიანად მოითხოვს მისგან სარწმუნოებრივ საკითხების შეგნებულად ახსნა-განმარტებას. მიტროპოლიტებს და მის მსგავს მაღალ სამღვდლოებას ხომ საქმე არ აქვს ხალხთან, იგინი ხომ მარტოოდენ ქალაქებში და არხივებში არიან ჩაფლულნი, იგინი ხომ მხოლოდ თავის ხელქვეით მოხელეების პირფერობას განიცდიან ყოველ წუთს და ერთ წუთსაც არ განუცდიან წრეს გადასულ მოწაფის შემოძახილი. სად სქირდებათ მათ მეცნიერულად სარწმუნოების დაცვა? კანცელარიებში და კანსისტორიებში ხომ არა, რომლებსაც არ გასცილებია მათი მოღვაწეობა, მონასტრებში ხომ არა, სადაც ისინი ხედავენ მხოლოდ თავის ხელქვეით მოხარკე ბერებს? თუ განათლება საქირო არ არის, ეს ისევ მიტროპოლიტებისათვის და არა მღვდლებისათვის, რომლებიც სოფელში სცხოვრობენ და მუდამ დღე თავდასხმას განიცდიან ურწმუნოების შხრით. სწორეთ ბერული ღირსების ნაყოფი უნდა იყოს, ასეთი მსჯელობა: ხალხი განვითარდეს, წინ წავიდეს, მღვდელი კი პირველყოფილ მდგომარეობაში დარჩესო.

სამღვდლოებაც ხომ რაღაც საუბედუროთ და საბედისწეროთ არ ეტანება სწავლა-განვითარებას. თანამედროვე მეცნიერების კრიტიკული შესწავლა ხომ შორსაა მისგან, მაგრამ თვით სარწმუნოების გონივრულად შეგნებაც კი, რომლის წარმომადგენელია ითვლება, მეტათ მიანა. ასე რომ არც თავისი და არც სხვისი არ აინტერესებს. შვილებს კი ზრდიან ტრაპეზიდან აღებულ სასყიდლით და ზრდიან იმავე ტრაპეზის წინააღმდეგ, ზრდიან უნივერსიტეტებში, სადაც ყველაფერი იმგვართაა მომართული, რომ სარწმუნოება შეაძლოს, შეაზაროს. რა ჰქვია ამას, თუ არ სამეფოს თავის წინააღმდეგ აღდგომა? რა ჰქვია ასეთ საქციელს, თუ თავის თავის დამარხვა არა? თუ არ დამარხვა იმ საქმის, რომელსაც სამღვდლოება ვითომ და ემსახურება? ასეთ მდგომარეობაში სამღვდლოებას კიდევ ზვეიდგან უქადაგებენ თავი არ აიტკივოთ, არაფერი ისწავლოთ, არ განვითარდეთ, არაფერი იკითხოთ, რაც უსწავლელები იქნებით მით უნჯობესიაო; ვოსტორგოვის კურსებში სამი თვის განმავლობაში გამოცხვარი მღვდელი სრულიად საკმარისია, საცეცხლოურის გაქნევას თუ მოახერხებს, მეტი რა უნდა სოფლის მღვდელსაო. მეტიც არ უნდა ზოგიერთ ჩვენებურ მღვდელს, რომელსაც თავის სიცოცხლეში შკოლაში თუ წაუკითხავს „დედაბერი და ქათამი“, თორემ მერე წიგნი ხელში არ აუღია. მეტი რა უნდა ზოგიერთ მღვდლებს, რომლებსაც თავის დანიშნულება დავიწყებით და მხოლოდ თავის ოჯახობის საწველ ფურად გადაქცეულან, რომლებსაც კაპეის ვერ გაავდებინებ ხელიდან თავის განვითარებისათვის, თავის მოვალეობის შეგნებისათვის.

ეჭვი არ არი, როგორც სასულიერო ისე საერო ბიუროკრატიისათვის ხელსაყრელია ვოსტორგოვის კურსოვნიკებისათა მღვდლების გამრავლება, მაგრამ როგორია ეს ქრისტეს პირმეტყველ ცხოვართათვის, რომელთაც ათასობით უყურებს მგელი, რომ წაბრტყოს, მოკლას, შესჭამოს? როგორ ფიქრობენ სამღვდლოების უვიცობის მომხრენი, ვის უფრო და-

უჯერებს თანამედროვე ადამიანი, მას ვინც საბუთებით უმტკიცებს თავის მოძღვრების სინამდვილეს, თუ მას რომელიც მარტოოდენ „ირწმუნეს“ ეუბნება. მხოლოდ ამით რომ შეიძლება აღადგინოს დარწმუნება, მაშინ ხომ აღარც სარწმუნოება იქნება? რამ შემოიტანა რუსეთის ეკლესიაში რასკოლი და სხედასხვა მწვალებლობა, თუ არა სამღვდელთა სრულმა უფიცობამ და სიბრძნევამ? ორი ალილუია, ორი თითით პიჯერის წერა, მზით თუ მზის პირდაპირ სიარული, რვა კუთხიანი, თუ ოთხკუთხიანი, ჯვარი, — რა არის ყველაფერი ეს, თუ უფიცობის შედეგი არა? რა არის ათონის რუსის პანტელეიმონის მონასტრის ბერების ახალი მწვალებლობა, თუ უფიცობა და გაუგებრობა არა და ამის შემდეგ კიდევ გვიმტკიცებენ, რომ მღვდელს განვითარება არ ესაჭიროება!?

საქართველოს ეკლესია ჩვეული არ არის განუვითარებელი მღვდლებისა. ჩვენი სამღვდლოება ყოველთვის მაღლა მდგარა ერობაზე თავის საერო და სასულიერო სწავლა მეცნიერებით. მხოლოდ რუსეთის ეკლესიის გაბატონების შემდეგ შემოვიდა განუვითარებელი სამღვდლოება, მხოლოდ რუსის სემენარიებმა შეგვიქნეს იტეისტი მღვდლები, მხოლოდ რუსის შკოლამ მოგვცა ზარმაცი მოძღვრები, რომლებსაც სკოლაშივე შეაძულეს სწავლა-განვითარება და ამიტომ ცხოვრებაშიდაც აღარ ჰკარგავენ მაზე დროს; მხოლოდ რუსეთმა მოგვილოცა უენო და უსულგულო მღვდლები, ფორმალისტები, მხოლოდ გარეგნულათ და არა გულთა აღმასრულებელნი თავის მოვალეობისა, მხოლოდ რუსის ეკლესიამ ჩაჰკლა ჩვენში ცოცხალი სიტყვა, ჩაჰკლა საქმით და მაგალითით, — საქმით, როცა საეკლესიო ენა და გვიკარგა, მაგალითით, როცა ისეთ მწყემსებს ნიშნავს, რომლებმაც სამწყსოს ენა არ იციან და არც უნდათ იცოდნენ. მხოლოდ რუსის ეკლესიის გაბატონების შემდეგ გაუჩნდა ნიადაგი საქართველოს ეკლესიაში უფიც, ზარმაცი, ფორმალისტ, უარმყოფელ მღვდლებს და რადგანაც მსგავსი მსგავსისა შობს, ამიტომ ქართველი სამღვდლოებაც მთელი თავის სიმძიმით

მიექანება უფიცობის უფსკრულში. დღევანდელი ჩვენი დამახინჯებული სამღვდლოება უნიკიერეს თავის შეილებს ეკლესიის და სამღვდლოების მტრათ ზრდის, ხოლო უნიკოებს და უფიცებს მღვდლებათ. და ამნაირათ კაიხანია სრულდება ჩვენში რუსის საეკლესიო ბიუროკრატის კარნახი.

ვიმეორებ ჩვენი ეკლესია არ არის ჩვეული მუნჯ და უფიც სამღვდლოებას, და თუ ჩვენ ჩვენი სამშობლო კიდევ გვიყვარს, და რამეთუ მიგვაჩნია სარწმუნოებაც, ნუ მივხედავთ სხვის მაგალითს, ხელი ნოვკილთ თვითგანვითარებას, დავიარსოთ ჩვენ სამშობლო ენაზე საღვთისმეტყველო და სამეცნიერო თურნალ-გაზეთი, ვიკითხოთ, ვისწავლოთ. თუ შესაძლებელი იქნეს, დავიარსოთ საკუთარი ქართული სამღვდლო კურსებიც, მაგრამ არა სამი თვის, არამედ სამი-ოთხი წლის, საიდგანაკ გამოდიოდნენ ნამდვილი სულით და გულით მორწმუნე, მეტყველი, თავდადებული, მოციქული მღვდლები და არა ისეთნი, როგორც არიან თანამედროვე უფიცო და მეცნიერი რუსული შკოლის ნაბოძები მღვდლები. ადამიანი ღმერთმა განვითარებისთვის შექმნა და ნუ თუ ჩვენ, სამღვდლოება, უნდა შევადგენდეთ ღვთის განჩინებიდან გამონაკლისს? ნუ დავემონებთ სულ დღიურ კირვარამს, ნუ დავაჩერდებით სულ მიწას, ხანდისხან ცასაც შევხედოთ, მოვიგონოთ, რა იდეალისკენ გვიწვევს ჩვენი მოძღვარი: „იყვენით სრულ, ვითარცა მამა თქვენი სრულ არს“, ე. ი. მიაღწიეთ განვითარების უმაღლეს ხარისხამდის!

ჩინ-ორდენების მოყვარული ადამიანების საუურბადლებათ.

სიტყვა

იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა პატრიარქის მოყვარეობაზე და ჩინ-ორდენებზე.

სულა! გაქვს მრავალი კეთილი, დაუნჯებული მრავალთა წელთა; განისვენე, სტამე და მსვი, და იხარებდე. (ლუკა 12. 19).

იგავითა ამით უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვაფრთხილებს ჩვენ, ძმანო ქრისტიანენო, უგუ-

ნურისა თავმოყვარეობისა, ანუ თავხედობისაგან. მდიდარი იგი კაცი, აღწერილი ამ იგავში, არის სახე, ანუ მაგალითი უქუო თავის შეყვარებისა. როდესაც მას მოუვიდა მრავალი მოსავალი, და, ესრედ, უწინდელსა სიმდიდრესა ზედა მიემეტა ახალი სიმდიდრე, ნაცვლად მისა, რომ ღმერთს მადლობა შესწიროს და აღუთქვას გულში სიმდიდრისა მისისა მოხმარება კეთილთა საქმეთათვის იგი მარტო თავის თავზე ჰფიქრობს, თავის სიამოვნებას და განსვენებას ეძიებს. „სულო! გაქვს მრავალი კეთილი, დაუნჯებული მრავალთა წელთა; განისვენე, სქამე, მსვი და იხარე“. აჰა, რისთვის გაუხარდა მას სიმდიდრის მომატება! აჰა, რა ბედნიერებას ეძიებდა იგი! სჩანს, რომ მის გულში, თვინიერ სულელურისა თავისმოყვარებისა, სხვა არც ერთი კეთილი გრძნობა და აზრი არ იყო.

მართალია, ძმანო ჩემო, არ შეიძლება კაცს თავი არ უყვარდეს, თავის სიკეთეს არ ჰფიქრობდეს და არ ჰზრუნავდეს. თვით ბუნებრივადვე დანერგილი აქვს კაცს გულში თავისმოყვარება. მაგრამ, როგორათა სხვანი ყოველნი კაცისთვის ბანი და ნიჭნი, მზგავსადვე ესთვისაც, ესე თავისმოყვარება, უნდა იყოს განათლებული, ამალღებული ქრისტეს სწავლითა და მცნებითა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგიცა მიიღებს ცუდსა, მავნებელსა მიმართულსა. განათლებული, ქრისტიანული თავისმოყვარება დილ უნდა ჰქონდეს კაცს, და იგი კეთილიც, პატიოსანიც და ქვეყნისათვის სასარგებლოც იქნება, გარნა უგუნური თავხედობა, არის სულის წარმწყმედელი და ქვეყნისათვის მავნებელი. აღწეროთ აწ და შევიტყოთ, რომელი თავისმოყვარება არის კანონიერი და კეთილი, და რომელი ცუდი და მავნებელი.

უმდაბლესი და სუყველაზე უარესი თავისმოყვარება, როგორც ესთქვით, ჰქონდა იმ მდიდარს, რომელი აღწერილ არს დღევანდელს წაკითხულს იგავში. მას უყვარდა თვისი მუცელი. ჰამა, სმა, ლხინი, ეს იყო მისი ბედნიერება! ესთინი პირნი დაფსგავსებიან პირუტყუთა უგუნურთა. ივინი არა თუ უსარგებლო არიან

ქვეყნისათვის, არამედ ფრიად მავნებელნიცა. მათ გულში დათრგუნვილია ყოველი კეთილშობილი კაცობრივი თვისება. თუ მდიდარი კაცი ჰფიქრობს, რომ სიმდიდრე მისი ღმერთმან მისცა ჰამისა, სმისა და ლხინისათვის, რაღა იქნება ამაზე მომეტებული უგუნურება. მაგრამ, საჭირო არ არის გავაგრძელოთ სიტყვა ესრეთთა პირთა ზედა, რადგანაც უმისოდაც აღვილად სჩანს, რა საძაველი არის ესრეთი თავისმოყვარეობა.

მეორე სახე თავისმოყვარეობისა მდგომარეობს მას შინა, რომ კაცს უყვარს პატივი, თავის განსხვავება, თავის გამოჩენა საზოგადოებაში, უყვარს, როდესაც მისი სახელი განთქმული არის, მის სიტყვას გავლენა აქვს. რა უნდა ესთქვათ ესრეთთა თავისმოყვარეობასა ზედა. ის, რომელ ზნეობითი მნიშვნელობა ესრეთის პატივის-მოყვარეობისა, დამოკიდებული არის მასზედა, თუ რისთვის უყვარს კაცს პატივი, და რა საქმისთვის ხმარობს პატივისა? პატივის-მოყვარეობა, თავის გამოჩენა სარწმუნოებაში, შეიქმნება სასარგებლო და კანონიერი, პირველად მაშინ, როდესაც კაცი პატივის ეძიებს და მიიღებს პატიოსნითა საშუალებითა, მეორედ მაშინ, როდესაც იგი პატივისა ხმარობს არა მხოლოდ თავისათვის, არამედ უფრო ქვეყნის სასარგებლოდ.

ჩვენ, ძმანო ქრისტიანო, საზოგადოდ იმერეთში მცხოვრებნი, საკვირველად პატივის-მოყვარენი და მძიებელნი ვართ. ვიწყით თვით უკანასკნელისა და უღარიბესისა გლეხისაგან, ვიდრე უპირველეს თავადის შვილამდე. ისე არაფერი არ ასიამოვნებს აქაურსა კაცსა, როგორც პატივი. მაგრამ, რა პატივს ვეძიებთ ჩვენ, და რა საშუალებით, და რისთვის? როდესაც ამაზე კარგად ვიფიქრებთ, დიდი მწუხარება გაჩნება ჩვენს გულში. პატივი და გავლენა საზოგადოებაში კარგი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიეცემა კაცს მართლა ღირსსა, მინიჭებულსა ჰკუითა და სათნოებითა, რომელსა შეუძლიან ქვეყანასა სარგებლობა მისცეს. ჩვენში კი სხვანაირად მიღის საქმე. კეთილი და სასარგებლო ის არის, როდესაც

თელი პატივი ეძიებს კაცსა, და არა კაცი—პატი-
ვისა. ჩვენში კი სრულიად უკუღმა მიდის საქმე!
სათნობითა, ქუითა და ქვეყნის სარგებლობი-
თა არავინ არ ჰფიქრობს და არ ეძიებს თავის
გამოჩენას; ათასში ერთს არ შეუძლიან აქ,
რომ მართლა თავისი ღირსებით მიიღოს პატივი.
გარნა, რადგანაც პატივის წყურვილი ღიდი
აქვსთ გულში, ცდილობენ, რომ გამოიტა-
ნონ ჯვრები; ჩინი და ჯილდონი მთავრობისა-
გან, და მით გამოიჩინონ თავი და მიიღონ
პატივი. თავის ქონებას არ დაჰზოგავენ აქაური
კაცი, ესრეთი პატივის მიღებისათვის*). რა
ამბავი მოხდა აქ, ამ ჩვენს ქალაქში, მცირე
ჟამის წინეთ, ესრეთი პატივის მოყვარეობისა
გამო; რადღენი შფოთი, შური, სიძულილი,
ჩივილი, დავა, დამღურება, მტერობა,—ამის
აღწერა თითქმის არ შეუძლიან კაცს. რამდენ-
იც გასაკვირვებელი ამბავი მაშინ ისმოდა, თუ
იმისი მესხელი შინც არის მართალი, სწორედ
ტირლის ღირსი არის ჩვენი ამოება. რა იყო
ამდენი შფოთის და ამბოხის ღირსი? ნუ თუ
ერთი მტკაველი სირმა; რომელსა დააკრებენ
მხრებზე, ღირს იმად, რომ კაცმა თავისი მამუ-
ლი დახარჯოს, ან სასოწარკვეთილებაში შთავა-
რდეს? კარგი, ვსთქვათ იშოვნე ბოლოს, რასაც
ამოდენის ამბოხით და ქირით ეძიებდი, ჰოი
საცოდო, ამოებით აღვსებულო კაცო! აწ
მითხარ, რა მოგემატა? კუა მოგემატა? სათ-
ნოება და ზნეობა გაგიკეთდა? ტანის სიმრთე-
ლე მოგემატა? სრულიად არც ერთი მათგანი
არ მოგმატებია! მოგმატებია კი არა, იქნება
ზოგი მათგანი მოგაკლდება, ვინაიდგან პატივის
ძიება ხშირად ზნეობას გაუფუჭებს და მრავალ
ხარჯსაც მოითხოვს. მაშასადამე, რათ აღავსე
სული შენი შფოთვით და ამბოხითა? თუ შენ
ჯერეთაც, თუცა ასაკით მოჰხუციდი, ქუითა
და ხასიათით ხარ რეგენი; აგრეთვე გარემოს
შენსა შენნი ყოველნი მოყვასნი, თუ ვინდა
დაზერებულნიც იყვნენ ასაკითა, არიან რეგენ-
ნი ქუითა და ზნეობითა. რეგენთა თვისება
არის შეყვარება რომელითამე ბრწყინვალეთა

*) ეს იყო ნეტარად მიცვალებული იმპერატორი
ალექსანდრე II ქუთაისის მოსკლის დროს 1871 წელს.

ნიეთთა, რომლითა იგინი თამაშობენ. შენც იმ
სახით გყვარებია ჩინი და ჯილდო. ვინ ამბობს,
ესენიც კარგია და საჭირო, როდესაც იგინი
იქნებიან ნიშანი ქეშმარიტისა სამსახურისა და
ღირსებისა; გარნა, როდესაც კაცი მათ ეძიებს
და იზიდავს რეგენული თავის მოსაწონად,
მაშინ იგი შეიქმნება ერთი მხოლოდ ამოება.
ღმერთო, ზეციერო! ვის შეუძლია გაჰზომოს
ჩვენი ამოება, სისაწყლევ, რეგენობა? ნაცვლად
მისა, რომ შევიძინოთ ის, რაცა ქეშმარიტად
სასარგებლოა და საჭირო: ქუა, განათლება,
ცხოვრების გამოცვლა გაუმჯობესობა, ზნეობის
გაწმენდა ტალახისაგან, რომელსა შინა შთა-
ფლული ვართ, რომ ყოველითურთ განვიწმინ-
დეთ, ჩვენ ვფიქრობთ დღე ღამე მხოლოდ
როგორმე ვიშოვნოთ რამე გარეგანი, განმასხვა-
ვებელი ნიშანი, რომელი მართლა ვერაფრით
ვერ განასხვავებს კაცს სხვათა ცოდვილთა და
ამათა კაცთაგან.

ბოლოს, ვსთქვათ ქეშმარიტსა, წმინდასა,
ამაღლებულსა, ქრისტიანულსა თავის-მოყვა-
რეობასა ზედა. წმიდა მოციქული პავლე ერთსა
თვისსა ეპისტოლესა შინა ცხადად იტყვის,
რომელ მას სიკვდილი ურჩევნია, ვიდრელა
თვისი პატივის გაუქმება- მაშასადამე, პატივი
მასაც ჰყვარებია, თავისმოყვარე ყოფილა; მა-
გრამ რა ნაირ პატივზე იტყვის იგი? ეს სჩანს
მისგან, რომ წინაპირველად იგი აღწერს რადღენი
შრომა, ღვაწლი, მოთმინება მიიღო მან ქრი-
სტეს სჯულისათვის, და შემდეგ იტყვის, რო-
მელ ზოგნი ბოროტნი პირნი ცდილობენ
დამდაბლებასა და გაუქმებასა ესრეთთა მისთა
საქმეთა და შრომითა. აჰა, რაში ეძიებდა და
სთელიდა წმიდა მოციქული პავლე თვისსა პა-
ტივსა. მისი სინიდისი და წრფელი გონება
არწმუნებდა მას, რომ მან მრავალი კეთილი
საქმე აღასრულა ქვეყნისათვის; ამით ნუგეშობ-
და იგი და ამაში სდებდა თვისსა პატივსა.
აბა, რა არს, რაში მდგომარეობს წმინდა,
ქრისტიანული თავის მოყვარეობა? იმაში, რო-
დესაც კაცს ახსოვს თვისი სულიერი ღირსება,
ახსოვს, რა პატივი მისკა მას ღმერთმა, რო-
გორ აღამაღლა, რა საქმისათვის უწოდა, რა
გზა უჩვენა ქვეყანაზე.

შენ, საწყალო! რისთვის არ გახსოვს, რომ შენ ისეთი პატივი მოგცა ღმერთმან, რომელზე უდიდესს კაცი ვერ წარმოიდგენს. შენ ღმერთმა შეილად აღგიყვანა, როგორც იტყვის ღვთის-მეტყველი იოანე: „რაოდენთა იესო ქრისტე შეიწყნარეს, მისცა მათ ხელმწიფება შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა სწამთ სახელი მისი“.

აჰა, რა პატივით შეგამკო შენ ღმერთმან! ამით უნდა მოგწონდეს თავი, მაგრამ შიშით და ძრწოლით, რომ არ დაგიმცირდეს ეს პატივი. შიშით და ძრწოლით უნდა ჰზიდავდე ამ პატივს, რომ არ მოგაკლდეს, არავინ წაგართვას, არამედ დაგიმტკიცოს, დაგიმკვიდროს ღმერთმან. ამინ.

რამოდენიმე სიტყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხი არ შორდება დროგამოშვებითი გამოცემების სვეტებს. ავტოკეფალობის საქმე, რამდენათაც ჩვენ ვიცით ერთი ეპისკოპოსის მიერ მოწოდებულ ცნობებიდან, შემდეგ მღვდმარებაშია. კრების წინასწარ საკრებულოში არქი-ეპისკოპოსები სერგი ფინლიანდელი და ანტონ ვოლინელი არ ყოფილან ავტოკეფალობის წინააღმდეგი; პროფ ი. ი. სოკოლოვი, როგორც ჩინოვნიკი, იძულებულია თავის რწმენის წინააღმდეგ წავიდეს, თუმცა სულით და გულით ივერიის ეკლესიის უფლებების მომხრეა და თანამგრძობი. ავტოკეფალიის მთავარი მოწინააღმდეგეები არიან მამა ბუტკევიჩი და ოსტროუმოვი ვოსტორგოვითურთ, რომელსაც ყველა ავტოკეფალისტები რევოლიუციონერად გამოყავს, ვინაიდან მისი აზრით ქართველი აზნაურობა და უმეტესი ნაწილი სამღვდელთაგანისა ავტოკეფალიის წინააღმდეგნი არიან.

რაც შეეხება გაზეთების ცნობებს იმის შესახებ, რომ „უმართებულეს“ ვანძრახვა აქვს მოიწვიოს მსოფლიო პატრიარხები მოსკოვის საეკლესიო კრებაზე ივერიის ეკლესიის რუსეთის ეკლესიისთან საუკუნოდ დამორჩილების

საკითხი გადასაწყვეტად, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. აღმოსავლეთის პატრიარხები დამცველნი და თანამოსაზრენი არიან საღვთო კანონებისა და ეკლესიის უფლებებისა, და არაფერ დათმობის გზას და კომპრომისებს არ მიიღებენ. ამასთანავე პირადათ მათ უფლება არ აქვთ გადასწყვიტონ ბედი ივერიის ეკლესიისა, რომელიც მათ არ ექვემდებარება, რომლის კათალიკოსები თანასწორი იყენენ ღირსებისა მათთან. უკანასკნელ, მთელ საბერძნეთს ახსოვს ის სამსახური, რომელიც გაუწია საქართველომ მართლმადიდებელ ეკლესიას, მისი 15 საუკუნის ბრძოლა მახმადიანთა ბრძოლებთან: არაბებთან, სპარსელებთან, თურქებთან, კავკასიის მთიულებთან და მეგობრობა და ძმობა ბერძნებთან.

თუ მ. ვოსტორგოვს ვერ მოეხერხებია მიეძინებია პეტერბურგის გავლენიანი წრეები, როგორც არის, მაგალითად, გრაფინია ივანტიევის სალონი, მაშინ საქართველოს ავტოკეფალობის საქმე ძალიან წინ წავიდოდა. მ. ვოსტორგოვი არ ცხრება და მუდამ იმას ჩახიჩინებს სასულიერო უწყებას, რომ სახელმწიფოს ურჩევნია გაურწმუნოებელი ქართველები, ვიდრე მორწმუნე, რომლებიც თავის დღეში არ შეურიგდებიან თავის ეკლესიის დაცემას. რას იზამ, ცბიერმა და ვერაგმა ვოსტორგოვმა დაიმონა თავის გავლენის ქვეშ სასულიერო სფეროები. საქართველოში იგი იცნეს, იქ ის ველარ დაბრუნდება, მაგრამ მოსკოვში და პეტერბურგში კიდევ წაიმუშავებს, წაიპოლიტიკანებს ბატონ სკვორცოვებთან, პურიშკევიჩებთან მარკოვებთან და სხ.

სასულიერო სფერებში უჯერიან ვოსტორგოვს, რომ საქართველოს თავადაზნაურობა ავტოკეფალიის წინააღმდეგია, და იგიც სდუმს, არაფის არ უჩივის.

ამას წინეთ ერთი რუსის იერარხთაგანი, ავტოკეფალიის მომხრე, გვწერდა ჩვენ: „არავინ არ აფალებს საქართველოს იერარხებს დამორჩილონ რუსის ეკლესიის მართველობას, რომელიც 1720 წლიდან ირიცხებოდა და მიჩნეული იყო ანტიკანონიურად, რათ მიმართა-

ვენ ხოლმე ქართველები საჩივრით სასულიერო კოლეგიას? რატომ არ თხოვენ ივინი მას, რომ არ ჩაერიოს მათ საქმეში; ხოლო სახელმწიფო მართველობას—კრების მოწვევას კათალიკოსის ასარჩევად. რუსეთის ეკლესია არაფერს არ დაჰკარგავს, თუ მცხეთაში აღდგენილი იქნება კათალიკოსის კათედრა, რომელიც ას წელიწადზე მეტია, რაც დაქარბიებულია; იგი მეტს კარგავს სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელთა პრაპაგანდით, რომლის წინააღმდეგ, სამრევლოს ცხოვრების ამ დანგრევის ხანაში, მას ბრძოლა არ შეუძლია. მაგრამ ვოსტოროვი ფიქრობს, რომ რუსეთისათვის და მახმადიანებისათვისაც უფრო ხელსაყრელი იქნება, თუ ქართველები გამახმადიანდებიან, — მაშინ ყველასათვის ცხადი იქნება, რომ ქართველები რევოლუციონერები არიან და სათათრეთისკენ უფრო მიიზიდებიან ვიდრე რუსეთისაკენ.

დაგვიჩვენია რამდენიმე სიტყვა ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე. ეკლესიის მოშურნენი და მოწოდებით ეპისკოპოსნი მომხრენი არიან იისი, ხოლო სასულიერო კარიერისტებს ეშინიათ მისი, ისინი ამით დაბრკოლდებიან; ამიტომ ბევრი დარწმუნებულია, რომ კრება არ შესდგება. ყოველ შემთხვევაში საქართველოს ეპისკოპოსებს და კრებულის წარმომადგენლებს, თუ კრება შესდგა, არაფერი საქმე ექნებათ ამ კრებაზე, ვინაიდან რუსის საეკლესიო კრებამ არ შეუძლია ივერიის ავტოკეფალიობის არც აღდგენა, არც მოსპობა, რის დადგინებაც შეუძლია მხოლოდ მსოფლიო კრებას*). თუ თვითონ ქართველები გულგრილად ეკიდებიან თავის ეკლესიის ბედისწერას და უფლებებს, რა საქმე აქვს ამასთან რუსის ეკლესიას?

დურნოვო.

*) საქართველოს ავტოკეფალიის მოსპობა არც მსოფლიო კრებას შეუძლია ჩვენი აზრით, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ერთი მსოფლიო კრების დადგენილებას მეორე ვერ შეშლის.

სახელმწიფო სათათბირო.

აზრთა რამდენიმე შეხლაშემოხლის შემდეგ ირიცხებიან ჩხეიძე ხლთი სხდომიდან, კერენსკი სამი სხდომისაგან. სიტყვა ეკუთნის მღვდელს პოპოვ მეოთხეს.

მღ. პოპოვი მეოთხე. (ვორონეის გუბერნია) ბ. ბ. ხალხის წარმომადგენელნი, შესახებ სახელმწიფოს შესავალ გასაულისა 1913 წ. აქ ილაპარაკეს ფინანსისტებმა, ილაპარაკეს ვეჭილებმა, ილაპარაკეს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებმა, ილაპარაკეს სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფების წარმომადგენლებმა, ილაპარაკეს ნაციონალისტებმა. მხოლოდ არაფერი უთქვამს მართლმადიდებელ სამღვდლოებს. უწ. სინოდის სმეტის შესახებაც კი მართლმადიდებელ სამღვდლოებს უხდება ლაპარაკი ისეთი სიწმინდის მაგინებელ სიტყვების შემდეგ, როგორც ჩვენ მოვისმინეთ სოციალდემოკრატების წარმომადგენლისაგან, რომელიც პრინციპიალურად უარყოფს ეკლესიას, რომელმაც ის საღვთო მხარე, რომელშიაც გამოყოფილია მართლმადიდებელი ეკლესია, ბედურებს მიუტოვა. დიას, ბატონებო, სამღვდლოება სდუმს, მას ეძინება ლაპარაკი, და, თავისთავით ცხადია, მიტომ რომ თქვენ დაინახეთ ამავე კრებაზე პირველათ დაჰყვესა ელვამ როცა კანონებს და მათ განმარტებას ხელი მოჰკიდეს ისეთმა პირებმა, რომლებმაც არაფერი იციან ამ კანონებისა, და შემდეგ გაისმა ეს ქუხილი, რომელიც ასე სამწუხაროდ დასრულდა. მაგრამ, რაც უნდა სამძიშოთ დაურჩეს, მართლმადიდებელმა სამღვდლოებამ უნდა ილაპარაკოს; მართლმადიდებელი რუსი სამღვდლოებაც რომ მოწოდებულია, ბატონებო, რუსის მონარხისაგან მონაწილეობის მისაღებათ საკანონმდებლო დაწესებულებაში. რუსი მართლმადიდებელი სამღვდლოება, ბატონებო, მიმქმელია რუსეთის სახელმწიფოებრიობის, იგი ჯერ კიდევ იმ მომენტის მოწმეა, როცა რუსეთი წყლით ინათლებოდა, იგივე სამღვდლოება დაესწრო რუსეთის ყველა ცეცხლით ნათლისღებას და ყველა სისხლით ნათლისღე-

ბას (ტაში მარჯენივ)... რუსი მართლმადიდებელი სამღვდლოება, ბატონებო, მცველი ანგელოზია რუსეთის სახელმწიფოებრიობას; უმეტესი ნაწილი იმისა, რაზედაც დღეს სახელმწიფო რთული მექანიზმი მუშაობს, დაწყებული ნოტარიუსის კანტორებიდან ვიდრე დეპარტამენტამდე, ყველაფერი ეს კისერზე აწვა სამღვდლოებას და ისიც სახელოვნად ატარებდა ამ მოვალეობას და არავის შეუძლია მისითქმა, რომ იგი არ იღვა თავის მოწოდების სიმალღვზე. უსამღვდლოებოთ შეუძლებელი შეიქნა მეოთხე დუმის მოწვევა. ჩვენ ძალიან ხშირათ გვისაყვედურებდენ, რომ ჩვენთან ლაპარაკობდა მართებლობა, მაგრამ, ბატონებო, ჩვენ მემარცხენებიც კი გველაპარაკებოდენ და გვაძლევდენ სხვადასხვა კომპესანციებს, ამიტომ თვით არჩევნები გვაჩვენებენ რომ სამღვდლოებას უნდა სთქვას თავის გავლენიანი სიტყვა სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის შესახებ და, ბატონებო, მე ვილაპარაკებ რუსეთის მართლმადიდებელ სამღვდლოების სახელით, მაგრამ ვალად მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ მე ვილაპარაკებ, არა როგორც წარმომადგენელი სამღვდლოებისა კანონიკურ თვალსაზრისით, მე არ შემოძლია ვიყო წარმომადგენელი ჩემი ხარისხით, არ შემოძლია წარმომადგენელი რუსის სამღვდლოების მდგომარეობითაც სახელმწიფო დუმაში, იგი ზის მარჯენივ, მიტომ რომ აქ მსხვილი ასოებით სწერია სიტყვა „მართლმადიდებლობა“. იგი ზის ნაციონალისტებთანაც, მიტომ რომ მართლმადიდებლობა არის აუცილებელი ნაწილი ჩვენი რუსის ხასიათისა, რუსულ თვითნებობისა. იგი ზის აგრეთვე ცენტრშიაც, სადაც სურს გავლენა იქონიოს სახელმწიფოს ხარჯთაღრიცხვის ბალანსზე. იგი აგრეთვე იქითაც მიდის, სადაც სწერია სიტყვა „პროგრესი“, დასამტკიცებლად, რომ ქეშმარიტი პროგრესი შეუძლებელია ქრისტიანობის გარეშე. ამნაირათ მე ვილაპარაკებ, არა როგორც წარმომადგენელი სამღვდლოებისა, რადგან მე არა მაქვს არც რწმუნება და არც უფლება, მე ვილაპარაკებ, როგორც ერთი უბრალო მსახურთაგანი სამღვდლოთა შორის.

მე ვილაპარაკებ ეკლესიის შესახებ; მაგრამ არა იმ ნაწილისა, რომელიც არ ექვემდებარება სახ. დუმის განგებულებას, ვინაიდან ეკლესია არის ის საღვთო კილობანი, რომელსაც ვერ შეეხება მომაკვდავის ხელი, მე ვილაპარაკებ ეკლესიის იმ ნაწილზე, რომელიც, მართებლობის ბრძანებით და განკარგულებით, გამოტანილია თქვენ წინაშე სამსჯელოთ, და არა იმ მხარეზე, რომელზედაც აკრძალულია ამ საჯდომებიდან ლაპარაკი, რომელიდანაც ძრიელ ხშირად ხმარობენ სალიზლაო სიტყვებს და შედიან იმ მხარეში, სადაც ცხადათ სწერია: „შესვლა გარეშეთათვის აღკრძალულია“. ქრისტიანობა, ბატონებო, ეს ისეთი რამ თეორეტიული არ არის, რომელზედაც ყველას შეუძლია საჯოს, ვისაც კი ხელშისახარება აუღია და წაუკითხავს. ჩვენ ვიცით რომ სექტანტებიც კითხულობენ სახარებას, მაგრამ არაფერი ქრისტიანული მათ იქილგან არ გამოუღის. აიღეთ, თუ გნებავთ, იგივე ხლისტები, რომლების ქადაგება ამ მოკლესანში გაისმოდა აქ, პეტერბურგში. აიღეთ ვგრეთვე საჭურისები (სკაპცები), რომლებიც აგრეთვე ხელს კიდებენ სახარებას და მიცხოვრის სიტყვას იმ აზრით თარგმნიან, რომ ბოლოს ქრისტიანობის მაგიერა მხეცობა გამოიღისთ. ქრისტიანობა რომ განმარტო, საჭიროა სცხოვრებდე იისი კანონებით, უნდა იცოდე ეკლესიის ეზოში შესავალი და ამის შემდეგ შეგიძლია ილაპარაკო ქრისტიანობაზე. რუსის მართლმადიდებელი სამღვდლოება დიდი ყურადღებით დახვდა იმ მომენტს, როცა ჩაისახა ჩვენი სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა, — მე ვვულისხმობ იმ მომენტს, როცა უ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა ესრეთ წოდებული დეკლარაცია და იმ მომენტს, როცა ეს დეკლარაცია შეიქნა საბალანო წარმომადგენლების მსჯელობის საგნად. იგინი ელოდენ სიტყვას ეკლესიის შესახებ, იგინი ელოდენ, რომ ეკლესიას უჩვენებდენ თავის ადგილს. უ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მგონია გადაშალა ახალი გვერდები ეკლესიის შესახებ სამსჯელოთ სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში, დაწყებული 1905 წლიდან, ე. ი. იმ დროი-

დან, როცა მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს მსჯელობა ხალხის წარმომადგენლებთან. მოგაგონებთ ამ გვერდებს: „მართლმადიდებელ სარწმუნოების კეთილ გავლენის ქვეშ იზრდებოდა და ძლიერდებოდა წმიდა რუსეთი“. — მინისტრთა საბჭოს თავმჯომარის სიტყვები ოქროს სიტყვებია, სიტყვები, რომლებიც მგონია პირველათ წარმოითქვენ მთავრობისაგან ამ ტრიბუნლიდან მას შემდეგ, რაც მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს ამ ტრიბუნალზე გამოხსენება. შემდეგ ნათქვამი იყო ძველ მართლმადიდებელ სამრევლოზე, ამ რუსეთის საზოგადოებრიობის კვერცხზე, ამ ჩვენი მომავალი გაზაფხულის მერცხალზე. ამ განყოფილებას დათმობილი ჰქონდა ცალკე პარაგრაფი. იყო, ბატონებო, ლაპარაკი საეკლესიო შკოლებზედაც, მოიგონეს, უკანასკნელი ანდერძი ძველი დროისა, შეიგნეს რუსის ფსიხოლოგია, შეიგნეს, რომ რუსმა კაი ხანია იცოდა, რომ დასაბამი სიბრძნისა რუსისთვის არის შიში უფლისა, შეიგნეს რომ პირველი საკითხავი წიგნი რუსისა იწყებოდა დავითნის პირველი სიტყვებიდან: ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღვთოთასა, რომ პირველი წიგნი, რომელიც გადაითარგმნა რუსულ ენაზე იყო სამოციქულო. იყო, ბატონებო, წინადადება, მაგრამ მხოლოდ წინადადება, ჩვენ სასულიერო სასწავლებლებზე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა განუზომელი მზიარულებით აღივსო გული ამ დიდი მშრომელი სასულიერო აკადემიკოს პროფესორების, რომლებიც საკმაოდ ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული, მე ვგულისხმობ სემენარიის მასწავლებლებს, რომლებიც იძულებული არიან ყელის ქლეკი გაიჩინონ, რომ ცოტათ მანც შეიმსუბუქონ თავის ნივთიერი მდგომარეობა, ვგულისხმობ ეპარქიალურ სასწავლებლების აღმზრდელ ქალებს ამ ქლეკით დაავადებულებს, რომლებიც აუარებელ ჯაფას ღებულობენ თავის თავზე არა თუ მხოლოდ სწავლისა, არამედ აღზრდისათვისაც რუსის ხალხის მომავალ მასწავლებელთა, ნათქვამი იყო აგრეთვე ქალაქის და სოფლის სამღვდელთა უზრუნველყოფაზე. აღ-

გილობრივი სამღვდელთა სამადლობელ პარაკლისებს იხდიდა, რომ ბოლოს ისინიც გაიხსენეს, გაიხსენეს ეს რუსის ხალხის კულტურის მაშენებელი, რომელნიც დღეს წარმომადგენელ კარისკარ მოლოლიალე მათხოვრებს, რომლებიც კაპეიკობით აგროვებენ ცოლშვილის გამოსაკვებ საშუალებას. მაგრამ აი, ბატონებო, ბიუჯეტშიც ხორცი შეისხა და გამოგვეცხადა 1913 წლის ბიუჯეტის სახელით, ხოლო რას ეხედავთ ჩვენ ამ ახალ გვერდებზე, რომლებიც გადაგვიშალა ჩვენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. როცა თქვენ ამ ბიუჯეტს კითხულობთ თითქოს სიყალბე (КЛЯКСЪ) არ ხჩანს, მაგრამ, ბატონებო, არაფერი სხვა. ჩაუვირდით, სად არის ეს ოქროს სიტყვები: „მართლ-მადიდებელ სარწმუნოების მადლიან გავლენის ქვეშ შეიქმნა, განმტკიცდა და სტოცხლობს წმ. რუსეთი“, არ ვიცი, მაგრამ ოქროს ვარაყი ხომ არ ყოფილა მანამ მანც, სანამ ბიუჯეტი სხვადასხვა კამისიებს და პოლიკამისიებს გაივლიდა, სადაც ეს ვარაყი მას მოსცილდა და არაფერი აღარ დაჩა. მე მეტყვიან ის ოთხი მილიონი, რომელიც მიემართა უ. სინოდის სმეტას? კი, მაგრამ ეს მთელ უწ. სინოდის სმეტას, მთელ უწყების სმეტას, ხოლო ამ უწყებას უჭირავს არა მხოლოდ ევროპისა და აზიის რუსეთი, არამედ ამერიკაც, ურშიაც, გალიციაც, ჩინეთიც და იაპონიაც, აი როგორია ამ უწყებას საზღვრები. ამას გარდა ოთხი მილიონი მიმატებულია იმ ანგარიშით, რომელსაც დამოკიდებულება აქვს სახალხო განათლების მინისტრის ანგარიშთან, იმიტომ რომ 44 მილიონიდან 21 მილიონს უწყება ხარჯავს სახალხო განათლებაზე. ეს ციფრი მიემართა, ბატონებო, მაშინ, როცა სხვა უწყებების სმეტას ყოველწლივით 78 მილიონი ემატება. მე გიჩვენებთ თქვენ ამ უწყების შედარებითი სხემას სხვა უწყებებთან, თუმცა, შევიძლება, მითხრან, რომ ასეთი შედარება შეუძლებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამა შედარებას დიდი მნიშვნელობა ექნება სიპაროლის აღდგენისათვის, და იმის ჩვენებისათვის, თუ რა ყურადღებით სარგებლობს ეს უწყება: შინაგან საქმეთა სამინისტრო ღებულობს 179

მილიონს, მე მილიონებს დავასახელებ მხოლოდ, ფინანსთა სამინისტრო 478 მილიონს, სახალხო განათლების სამინისტრო 136 მილიონს, გზათა სამინისტრო 635 მილიონს, მიწათ მოქმედების სამინისტრო 135 მილიონს, სამხედრო სამინისტრო 550 მილიონს, ხოლო სინოდის უწყება 44 მილიონს, რომელთაგან, ვიშვორებ, 21 მილიონი სახალხო განათლებაზე იხარჯება. აი, ბატონებო, აქედან დაინახეთ ის ყურადღება, რომლითაც სარგებლობს მართლმადიდებელი სარწმუნოება, რომლის მეოხებით შეიქმნა, განმტკიცდა და სკოტლობს რუსეთი. დიახ, ბატონებო, ჩვენ ყურადღება მოგვაქციეს მით, რომ არ შეგვეჯავშნეს, როგორც სხვა უწყებები. ჩვენი კრიტიკა შეუძლია ებრაელს, სოციალისტს, რომელსაც არ სწამს ეკლესია, მახმადიანს, სექტანტს; ჩვენ ყურადღება მოგვაქციეს მით, რომ გამოგვიყვანეს სამარცხვინო ადგილზე, სადაც შეუძლიათ ბევრი გვლანძღონ და ცოტა მოგვცენ (ხმები მარჯვნივ: მართალია. ტაში მარჯვნივ)... სადაც შეუძლიათ არაფერიც არ მოგვცენ და კიდევ გვლანძღონ. მაგრამ სად არის ის მერცხალი, რომელზედაც ჩვენ ასე ბევრს ვლაპარაკობდით? მე ვგულისხმობ ძველ თესლს რუსეთის საზოგადო ცხოვრებისას, მართლმადიდებელ რუსის სამრევლოს. ეს მერცხალი დაფრინავს ყოველგვარ საკანონმდებლო მოსაზრებათა გალიებში, დაფრინავს მაშინ, როცა პოლიტიკური კავშირები, სექტანტური კავშირები თავის დასაცავ ციხეებს იშენებენ, რომ შემდეგ თავდასხმაზე გადავიდნენ. ეს მერცხალი დაფრინავს იმ დროს, როცა ნათქვამია, მოუწყობელი თვითმართველობა ქვეყნის დაღუპვას ნიშნავს; გარნა შესაძლებელია კი, რომ კიდევ რომელიმე თვითმართველობა იყოს ისეთი მოუწყობელი, როგორც სამრევლო? ჩვენ გვითხრეს, რომ ეს თესლი მოკვდა. არა, ბატონებო, იგი არ მოკვდა, მას სძინავს, იგი ეჭირება იმ წვრილმანობას, რომელზედაც აქ ლაპარაკი იყო, იგი ეჭირება იმ წვრილმანობას, რომ საზოგადო თავშესაფარი, შებრალეა იპოვოს, იგი ეჭირება მას, რასაც თანამედროვე ხულიგანო-

ბას ეძახიან. საპრობილეების შემცირებისათვის საჭიროა ტაძრის კარების გაფართოება და მისი ზნეობრივი გაფლენა. შემდეგ ბევრი ითქვა საეკლესიო შკოლაზე. არაფერი თქმულა სასულიერო სასწავლებლებზე... შემდეგ ილაპარაკეს სოფლის და ქალაქის სამღვდლოების ჯამაგირებზე და ყოველივე ეს დარჩა მხოლოდ სურვილების სამფლობელოში. უკვე ოთხი საკანონმდებლო სურვილები გამოითქვა ამის შესახებ, მაგრამ ეს სურვილები პირველით არ გამოთქმულა. აქ ბ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ილაპარაკა ფინანსიურ ბაზრის ულმობელობაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ულმობელობა არ არსებობს სამღვდლოებისათვის. აქ ილაპარაკეს საზოგადო ბინის და სანოვაციის გაძვირებაზე, მაგრამ თითქოს სამღვდლოებისათვის ამ გაძვირებას არაფერი მნიშვნელობა აქვს. ამ სიძვირის დროს მღვდლის საშუალო ჯამაგირი 300 მანეთამდის ავიდა და ამითაც ჯერ 11 ათასი სამრევლო დაუქმავილებელი, აი, ბატონებო, რა მოგვცა ჩვენ 1913 წელმა. რა მოხდა შემდეგ! შემდეგ უნდა გავითვალისწინოთ შედეგები. ჩვენ შესახებ ეს შედეგები არ არის საშიში, რადგან არა ახალია, ძველია, რაც იყენენ უწინ: „თუ მე მდევნეს თქვენცა გდევნიან... და იყვნენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის“. ჩვენ არ ვვაშინებთ ასეთი შედეგი, ჩვენ ვიციტ მოთმინება და მწუხარებაშია არ ვივიწყებთ, რომ ნათელი ბნელსა შინა სჩანს და ბნელს არ შეუძლია მისი დაფარვა, ჩვენ ვიციტ ის, რომ ჩვენ გვლანძღავენ, მაგრამ ჩვენ მოგვცებნიან, ჩვენთან მოვლენ იმ დროს, როცა ამ სოციალდემოკრატების ბოღვას მარცხენა მხარეზე ბოლო მოვლეა (ხმები: კმარა) (ტაში). ნება მომეცით, ბატონებო, დასკვნა გამოვიყვანო იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა ეკავოს ეკლესიას სახელმწიფოში. წინასწარმეტყველ ეზეკიას აქვს ერთი შესანიშნავი ადგილი .. (ხმები კმარა).

თავმჯდომარე. ბატონებო, უმორჩილესათ ვთხოვთ ნუ უშლით ორატორს და ნება მომეცით მშვიდობიანათ ჩავატარო სხდომა.

მღვდელი პოპოვი. წინასწარმეტყველი იდგა საშუალო მინდვრისა, რომელიც მოფენილი იყო ძვლებით, და აი წინასწარმეტყველი ხედავს, რომ ძვლები ამოძრავდნენ, აბზაურდნენ და დაიწყეს შეერთება, და მოესმა ხმა სულისა წმიდისა წინასწარმეტყველს - ძვალნი ცოცხლ-

დებიან და ერთდებიან. რაღაც ამის მსგავსი ხდება ჩვენ სათათფიროში: გვესმის მოძრაობა, მოძრაობენ ციფრები, ხმაურობაა, მაგრამ გაცოცხლდებიან კი ეს ციფრები? ნება მიბოძეთ მოვიყვანო აქ ის შედარებები, რომლებიც იხმარეს სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებმა რუსეთის მდგომარეობის დასასურათებლათ. აი ჩვენ თვალწინ მიჰქრის მატარებელი რკინის ლიანდაგზე, წინ „გვეხატება“ სადგური, ერთი მხრით კონსტიტუცია, მეორე მხრით რევოლუცია, მესამეთი — დემოკრატიული რესპუბლიკა, იქით კიდევ — ანარხია. ეს შედარება შემარჯვენებებისაა, ხოლო მეორე შედარება მარცხნივ — კუსიმა, პორტარტური. მესამე შედარება — ვეებერთელა ხომალდი, რომელიც მისცურავს საშვალ სცილასა და ხარიბდასა — ცენტრის საშვალ. ისეთი შედარებებიც იყვნენ, სადაც მხოლოდ ბოქლომები ედვა რუსეთს და სითაც არ მიიხედავ სიკვდილი, სიკვდილი. მიიქციეთ ყურადღება იმ დევიზებს, რომლებითაც ფიქრობენ რუსეთის გამოსნას, და თქვენ ნახავთ, რომ დევიზი ერთია — კანონი და თავისუფლება, ნამდვილათ კი უკანონობაზე და თავისუფლების შეზღუდვაზე ლაპარაკობენ (ხმაურობა).

ეს არის ეგრეთ წოდებული პოლიტიკური შეხედულება, ხოლო ზნეობრივი თლათ პესსიმიზმია. ჩვენ წინ იშლება უკვე სადგური კი არა, სამარე, ჩვენ წინ იშლება კაცის სახე, რომელსაც ყოველი მხრით საწამლაეებს სთავაზობენ; ამ საწამლაეებს ზოგი ამზადებს, ზოგი ავრცელებს, ზოგი ჰყიდის, ზოგი კვდება. ჩვენ გვახარებდნენ გზების სიმრავლით, ტელეფონის და ტელეგრაფის სვეტების რიცხვით, მეორე მხრით კი ყოველი კუთხით მოდის ამბავი ხულიგანობის გავრცელებაზე, რა იქნება რომ ამ გზებზე მხოლოდ ხულიგანებმა იარონ და სხვამ არაფინ? ისევ, ბატონებო, ირგვლივ სიკვდილი, და სიკვდილი, თვით სახ. დუმის წინააღმდეგ გაისმის უკვე ასეთი სიტყვები: „რასა ეძიებთ ცოცხალსა მკვდართა შორის“... ირგვლივ სიკვდილი, სიკვდილი სიკვდილი. სჩანს შეუზრკვევლია მისი სიტყვა, ვინც არის ნათელი, კეშმარტება და

ცხოვრება. მან სთქვა „უმოღხინეს იქმნების სადგომი და გომორი, ვიდრე იგი ქალაქი, რომელიც თქვენ არ მიგიღებსთ“, ჩვენ ვეტყვით იმ სახელმწიფოს სადაც თქვენ (ჩვენ?) არ გღებულობენ (გღებულობენ?). თქვენ, ბატონებო, კარგათ ხედავდით რა ყურდლებით გვისმენდენ სოციალდემოკრატები და თქვენ ხედავთ იმ დაბრკოლებებს, რომლებშიდაც უხდება ლაპარაკი მართლმადიდებელ მღვდელს. (ტაში მარჯვნივ). ვერ მოვასწარით დუმაში ფენის შემოდგმა, რომ ჩვენ გაგვიმასპინძლდენ კომპლიმენტით: რომ ჩვენ არჩეული ფარავართ, სიცრუის მთესველნი, ამას წინეთ ჩვენ გვიწოდეს სახელმწიფო მექანიზმის დაქონილი ქვედანაწილები, ჩვენ სრულებით დაგვივიწყეს ბიუჯეტში. ბატონებო, თქვენ ხედავთ, ის, რაც სთქვა მაცხოვარმა სოდომ-გომორის ცოდვაზე, ეს ცოდვა უკვე გვიახლოვდება, იგი შევიდა ინტელიგენციაში, შემოდის ჩვენ რუსის გლეხობაში. დიახ, მე ვავათავებ ჩემ სიტყვას შემდეგი სიტყვებით: არ გაცოცხლდებიან, ბატონებო, ეს ციფრები, თუ იმათ ცოცხლებას დაუწყებენ მხოლოდ ფინანსისტები, იურისტები, პოლიტიკოსები, თუ ეს ციფრები მოკლებული იქნებიან მართლმადიდებელ ეკლესიის მადლიან გავლენას და ხელის ბერვას. (ტაში).

ლვოვ პირველი. (სარატოვის გუბერნია). როცა ჩვენ ოპოზიციის წარმომადგენლებს მოგვიხდება ხოლმე ლაპარაკი სინოდის უწყების შესახებ ჩვენ წინააღმდეგ ამბობენ, რომ ჩვენ ვითომ გამსჭვალული ვიყოთ ანტიეკლესიური მიმართულებით. მაგრამ ეს ბრალდება, ბატონებო, არ არის სამართლიანი. ჩვენ კარგათ ვარჩევთ საეკლესიო საქმეებს საუწყებო საქმეებისაგან და, როცა პირველისთვის თავდადებული ვართ, კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებთ და ვამხილებთ სინოდის უწყებას. თქვენ წინ, ბატონებო, ძვეს მოხსენება დუმის წევრისა რომელიც არ ეკუთვნის ოპოზიციას, არამედ ნაციონალურ პარტიას, მოხსენება მართლმადიდებელ ეკლესიის მორჩილი შეილისა. და სწორეთ აი ამ მოხსენებიდან, თითოეული მისი ციფრიდან, მისი თითოეული

სიტყვიდან გამოსკვირს მთელი თავის სიკბადით უწყების მდგომარეობის მხილება, იმ მდგომარეობის, რომელშიდაც ის დღეს იმყოფება. და მართლაც რომელ საკითხსაც არ უნდა შეეხოთ, რომელ საეკლესიო მართვაგამგეობის მხარეც არ უნდა აიღოთ, ყველაფერზე ერთ პასუხს მიიღებთ: ჯერ ესენი არ განხილულა, არ დამუშავებულა, ჯერ კიდევ კამისიებშია, რომლებმაც ოდესმე ეს საკითხი უნდა განიხილონ. უწყება ყველაფერს ხელშეუხებლათ სტრუქტურებს პირველ ყოფილ მდგომარეობაში, იმიტომ, რომ უწყებას არ შესწევს ძალა შინაგან რეფორმებისათვის. ეს საკითხები ისეთ საკითხებს არ ეკუთვნიან, რომლებიც გამოწვეულია ახალ ლიბერალურ მოთხოვნებით. ყველა ეს დეფექტები ცნობილია თვით უწყებისაგან; იგინი უნდა გადაკეთდენ, უნდა ყოველი ღონისძიება იხმარონ ამისთვის, მაგრამ უწყების მკვდარი გაჯიქება შეძლებას არ იძლევა პირველი ნაბიჯი, რა არის, მაინც გადადგმულ იქმნეს ამ მხრით. თუ თქვენ დაუკვირდებით იმ ციფრებს, რომლებიც მოყვანილია მოხსენებაში, თუ თქვენ შეხედავთ სრულიად მიუდგომლათ, როგორც იგინი დაფასებულა აქ წარმოდგენილ მოხსენებაში, დაინახავთ, რომ უწ. სინოდის შტატები არსებობენ წარსულ მეცხრამეტე საუკუნიდან, რომ უწ. სინოდის წევრების ჯამაგირის ნორმები არ არის დამყარებული; ყოველთვის ითხოვება ახალი უმაღლესი ნებართვა ჯამაგირების შეერთებაზე სამსახურის წესდების 56 სტატ. ძალით. ჯილდოები და ერთდროებითი შემწეობები ნაფარაუდებია ძლიერ მკირე, ყველაფერი, რაც კი აკლიათ ამოაქვსთ სხვადასხვა წყაროებიდან, თანხებიდან, რომლებიც ეკუთვნიან უწყებას, ხელშეუხებელ თანხებიდანაც კი, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდენ სხვა საჭიროებებს და მოთხოვნილებებს. სამეურნეო მართველობის შტატი, კონტროლი შედგენილია 50 წლის უკან 72 წლებში. შტატი სრულდებით საკმარისი არ არის, ჯამაგირი, რომელსაც მოსამსახურეები ღებულობდენ მეტათ მკირეა, მოსამსახურეების მდგომარეობა უზრუნველყოფილი არ

არის, მიუხედავად ამისა ყოველივე ისე რჩება, როგორც იყო. საქმის მდგომარეობა სასულიერო სემენარიებში საგონებელში გვაგდებს ერთი მხრით მაინც. თქვენ კარგათ იცით, რომ სასულიერო სემენარიიდან მხოლოდ ასი კაციდან ოცდაშვიდი მიდის სამღვდლოთ. უკვე ერთი ეს საკითხია საშიში საკითხი; ამანართ სასულიერო სამოსწავლო დაწესებულებები მართლმადიდებელ ეკლესიას კი აღარ ემსახურებიან, არამედ სამღვდლოებას ეხმარება მათი შეილების აღსაზრდელათ. სასულიერო კონსისტორიებშიდაც მდგომარეობა მოძველებულია; ამას თვით უწყებაც აღიარებს, მაგრამ უწყება ვერ ბედავს ხელი მიჰყოს რეფორმას და გადაკეთებას, ყველაფერს მომავალ საეკლესიო კრებას ახვევს თავზე, ვითომ და ამ კრებაში იმალებოდეს ის სასწაული, რომელსაც შეუძლია გააცოცხლოს ეს მკვდარი უწყება. სოფლის სამღვდლოების და სასულიერო სასწავლებლების შესანახად ისეთ მკირე თანხას სდებენ, რომელიც სრულდებით საკმარისი არ არის მათ შესანახად, დანარჩენი ისევ სხვადასხვა წყაროებიდან იკრიბება: იკრიბება მართლმადიდებელ ეკლესიების ცნობილ გადასახადებიდან. ეს გადასახადები იკრიბება 1871, 1878 და 1901 წ. წ.—კანონების ძალით სანთლის, ქისის და ყულაბის ფულებიდან და მე ვლასპარაკობ, რომ ეს შემოსავალი განსაზღვრული უნდა იყოს 25 პროცენტით, მაშინ როდესაც იგი ძალიან მეტი ხდება ეკლესიებს, რადგან 25 პროცენტი არ ყოფნის სასულიერო სამოსწავლო დაწესებულებების შესანახად და ეს გარემოება იწვევს სრულიად სამართლიან საყვედურს მრევლისა და მნათის მხრით და მიჰყავს საქმე მძიმე შეხეთქებაში. ამასთანავე იმ სიღარიბესთან, რომელშიდაც ჩაეარდნილია ჩვენი სამღვდლოება (ხმაურობა).

თავმჯდომარე წესიერებას იცავს.

ღვთვი პირველი. უწყება არაფერ ზომებს ღებულობს, რომ გამოვიდეს ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან. მართლაც მდგომარეობა სოფლის სამღვდლოებისა, რომელიც იტულებულია თავის არსებობის საშუალება შეე-

სოს სოფლისგან ანაღები ფულით აყენებს მას ფრიად მძიმე მატერიალურ დამოკიდებულებაში სამწყსოსთან და ეს სიმძიმე პირდაპირ აუტანელი ხდება ზოგიერთ ჩვენ სოფლის მღვდლებისათვის. ეს დროებითი შემწვობები, ის ასიგნოეკები სახელმწიფო ხაზინიდან 600,000 მ., ან როგორც უწყება ფიქრობს მილიონ ხუთასი ათასი მანეთისა ვერ შეცვლიან ძირითად ბოროტებას, რომელიც ამ მხრით არსებობს, ყოველ წლობით რომ 600,000 მანეთი გადაიდევას, სამღვდლოების ჯამაგირის საშუალო ნორმამდის აყენას, 9000000 მანეთამდე, მოუნდება ძალიან დიდი დრო, ე. ი. უნდა ველოდოთ, როცა ჩვენ ბოლოს მივახწევთ მიზანს, რომელიც არავის არ აკმაყოფილებს. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელსაშუალებათ მიგვაჩნია სამრევლოს გადაკეთება ისე, რომ იგი თავისუფალი იქნეს მღვდელს დამატებითი ჯამაგირი აძლიოს და ამნაირათ მღვდელიც გათავისუფლდეს სამწყსოს მძიმე დამოკიდებულებისაგან. ეს კითხვები, კითხვები სამრევლოს ორგანიზაციისა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელ მხარეებში, სერბიაში, საბერძნეთში უკვე გადაწყვეტილია, გადაწყვეტილია აგრეთვე ავსტრიაში, ამ კათოლიკე მხარეში, ჩვენში, მართლმადიდებელ სამეფოში ვერას გზით ვერ დაიდრა ერთი და იგივე მკვდარი წერტილიდან. მკვდარ უწყებას, რომელიც ჰკლავს ყველაფერს, რასაც კი შეეხება, არ ძალუძს აწარმოვოს შინაგანი გადახალისება გადაკეთება, იგი მხოლოდ ერთ მიზანს ესწრაფება: დაბრკოლება მისცეს მთელ იმ თავისუფლებას, რომელიც გამოცხადებული იყო 17 ოქტომბრის მანიფესტით. და მართლაც იმ პირობებში, რომელშიდაც იმყოფება მართლმადიდებელი ეკლესია, საშიშროება დიდია, მაგრამ ეს საშიშროება იბადება თვით უწყებაში, საშიშროება მის უმოძრაობაში, მის ერთ წერტილზე გაყინვაში, მის უმეცრობაში, რომ პირდაპირ შეხედოს ახალ პირობებს. ცხოვრების დაკავება არაფერი პირობებით არ შეიძლება, არ შეიძლება მისი დაკავება, რაც უკვე დამყარდა, და ისე უმოძრაოდ ვაჩერება, როგორშიაც იმყოფება

ფება სინოდის უწყება საშუალო ყოველივე ხლისა ეს ნიშნავს იმ დიადი საქმის მოკვლას რომელიც (საქმე) მის ხელშია. ჭეშმარიტად სამწუხაროა მართლმადიდებელ ეკლესიის მდგომარეობა, სრულიად მოუწყობელი სამრევლოები, ბევრ შემთხვევაში მწყემსთა და სამწყსოს ერთმანეთისაგან დაშორება, მართლმადიდებელ სამღვდლოების სრული ნივთიერი დაქვეითება, სამრევლოების სიღარიბე, ძლიერი სინოდის ჩინოვნიკობა, რომელიც დღემდის დახვესებულ შტატებზე ზის და კანცელარიის საქმეებში ჩაფლულა ყველა ეს, ბატონებო, ისეთი კითხვებია, რომლებიც წინაშე არ შეგვიძლია გულგრილად ვიდგეთ, რომლებსაც პირდაპირ უნდა შევხედოთ, ვეცადოთ საერთო ძალით გამოვიყვანოთ იმ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიდაც დღეს იმყოფება. უწყება ვერ თმენტლობს და მტრულათ უყურებს ახალ პირობებს; ეს სახელდობრ იქიდგან სჩანს, რომ უწყებამ ვერ შეიძლო თავის შინაგანი გადაკეთება. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ სინოდის უწყებაში თითქმის არ მომხდარა, ერთის მეტი, რეფორმა: ეს ვახლავთ იმ თავისებურ მეომარ კლერიკალიზმის მიმყნა, რომლისაღ დღემდის უცხო იყო ჩვენი მართლმადიდებელი სამღვდლოება; სასულიეროება ჩათრეულ იქმნა პოლიტიკურ ბრძოლაში და ვახდა ბრმა იარაღი პოლიტიკური ინტრიგებისა და პოლიტიკური ქვებუღანობისა, ვაჩნდა მეპოლიტიკანე სამღვდლოება და მეშფოთე ბერობა... (არ ისმის) და ეს არის, რაც დღეს სახელს უფუჭებს რუსეთის სამღვდლოებას. ის რაც მოუვიდა ერთ ჩვენ ეპისკოპოსს, მისი ზემო, შემდეგ მისი დაცემა, ყველა ეს დარჩება სინოდის უწყების თანამედროვე მოქმედების სამწუხარო სახსოვრად. რადგან არ შეუძლია შინაგანი დისციპლინა შეიტანოს სასულიეროებაში, რადგან არ შეუძლია მოაწყოს სამღვდლოების აღზრდა, მისი ზნეობრივი ავტორიტეტის ამაღლება, უწყება ცდილობს გასრისოს, მონად ვახადოს, პოლიტიკურ ბრძოლის იარაღად გადააქციოს სამღვდლოება, იმ ბრძოლის, რომლის მიზანს არაფერი საერთო არ

აქვს მართლმადიდებლობასთან. უწყება თავის-თავით წარმოადგენს მკვდარ კანსისტორიულ სინოდალურ მანქანას, რომელსაც ძალა არ შესწევს წარმოშეას რამე გარდა ფორმალის-მისა და ქალაქის უმსგავსო რაოდენობისა, რომლებიც ახრჩობენ ამ მანქანების ბორბლებში ჩაფარდნილ ცოცხალ სხეულს.

და ეს აზრი, ბატონებო, ეკუთვნის ყველა იმათ, ვინც იციან რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სინოდალური უწყება, აზრი, რომელიც შეიძლება ვიპოვოთ იმ ადამიანების შეხედულებაში, რომელთა კომპეტენცია უარყოფილი არ იქნება არც სინოდის წარმომადგენლებისაგან. სახელდობრ აზრი კ. პ. პობედონოსცებისა (ტაში მარცხნივ).

შ. ი.

ჩვენი სამრევლო სკოლების გამკეთა მოწყობა.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ საოლქო საბჭოს იმერეთის ეპარხიის საბჭოსათვის 304 მანეთი და 3 აბაზი გამოუგზავნია იმ მასწავლებლების დასაკმაყოფილებლათ, რომლებმაც ეს ორი წელიწადია აგრეთ წოდებულ ორკომპლექტიან სკოლებში უკმაგროთ მსახურებდნენ მომავლის იმედით. ჩვენი ანგარიშით თითოეულ ამგვარ მასწავლებელს ამ თანხიდან (?!) უნდა ერგოს 34 მანეთი და ორი აბაზი. და ეს ორი წლის თავგანწირულ სამსახურისთვის უსმელათ, უკმელათ! ნეტავი იმ უწყებას, სადაც ასეთ სიუხვეს იჩენენ მოსამსახურეების შესახებ. თქმა არ უნდა, დიდ მომხადებულ ხალხს მიიზიდავს ასეთი სიუხვეთ სსსულიერო უწყება და დიდათ წინ წასწევს სახალხო განათლების საქმეს. *Докопѣ Господи!*...

ხელი.

სიტყვა

თქმული ფამუბლეტის წმიდის გიორგის ეკლესიაში ძღუდლის ნიკოლოზ ინსკირელისაგან 1896 წელსა უებერვლის 4 დღესა

ღმერთი დადგა შესაკრებელსა ღმერთასა, ხლო შორის ღმერთნი განიკითხნეს. (ფსალ. 31,-1.)

ძმანო ჩემო საყვარელო! ჩვენი მამა და მეუფე, შვილი ჩვენის ქვეყნისა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, სამწუხაროდ ჩვენდა უკვე მიცვალებულ არს, ამა წლის გასრულს იანვრის 25 რიცხვსა შეადამის პირველ საათზე, ჩვენგან მარადის დაუეიწყარი და სანეტაროდ სახსოვარი, განმანათლებელი და დამაარსებელი ჩვენი სოფლის სასწავლებლისა თვისის ხარჯით, მომრწყველი გვალულის ჩვენის ქვეყნისა შემწე და სასიქადულო პირი. რა საკვირველია ესრეთის პირის გარდაცვალებაზე ერთადვე ჩვენსა მწუხარე არიან მრთელი ივერია და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, რომელმანც დასდვა სული თვისი დღითგან მისის წმიდა და უბიწო სამსახურისამებრ ზოგად ქრისტეს მოსახელისა ერისა, ესე იგი, ყოველთა და ყოველისათვის. ხოლო აწ განისვენა და ნეტარ არს რამეთუ ამიერიდგან მიელის სიმართლისა იგი გვირგვინი. ამისამებრ დღევანდელი ჩვენი ლოცვა და წირვის მოსმენა შევამსოთ მოკლე განზრახვითა იმ საგანზე და სწავლაზე, რომელსაც სწერს წინასწარმეტყველი დავითი ზემოთქმულ ფსალმუნსა შინა. „ღმერთი დასდგა შესაკრებელსა ღმერთთასა, ხოლო შორის ღმერთნი განიკითხეს.“ ესე ნამდვილი ღმერთი არს, არა ბუნებისაებრ, არამედ მისთვის რომ საღვრთოსა ბუნებასა ეზიარა *) და რომლის კაცობრივი ბუნება მისი შერაცხა ღვთაებრივად მი-

(* იხილე წინგსა შინა მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოების კათოლიკე და სამოციქულო აღმოსავლეთის ეკლესიისა. წერილისამებრ თავჯანსიქმისა და მიღებისა თუ რაოდენ გვარ-არს ღირსნი სამღვთიისა ბუნებისა ზიარყოფად,

სის უბიწო და უმწიკლო მსახურებისა და ღირსებით ცხოვრებისათვის, და აწ მიცვალებითა ამით მიიღო საწადელი და გამოუთქმელი საუკუნო და დაუსრულებელი იგი ნეტარებითი ცხოვრება; მით უმეტეს რადგან წმიდამან ამან და ღირსმან განატარა მღვდელთ-მთავრობა მისი უმანკოთ, შეუგინებლად და განშორებულად ყოველთა ცოდვათაგან, რომლისათვის ჯერ არს თქმად: ესე ვითარი გვივის ჩვენ მღვდელთ-მთავარი წმიდა, უმანკო, შეუგინებელი, განშორებულ ცოდვათაგან და უმაღლესი ცათა“ (ებრ. 7—26.). ვინაიდგან სათნოებითა და შეერთებითა ღვთისათა ბუნება კაცთა ანგელოზთა უმაღლეს არს, რომელნიც სიტყვასა ღვთისასა ეგრეთ აღასრულებენ დაურღვეველად და დაიცევენ სარწმუნოებით სჯულსა და მცნებასა ქრისტესა მისთვის ზიარ ღვთისა იწოდებიან. ღმერთი არა ანგელოზის ბუნებასა ეზიარა, არამედ კაცობრივსა ბუნებასა, ღმერთი არა ანგელოზ იქმნა, არამედ ჭეშმარიტ კაც იქმნა, თქმისამებრ მოციქულისა: „არა სადათ ანგელოზთა იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაამისა იწყო.“ (ებრა. 2, 16.) მართალია პირველის კაცის მამის ჩვენის შეცოდებითა და ცოტუნებითა შურითა ეშმაკისათა დაგვესაჯა სიკვდილი და მის მიერ წარმოებს ყოველთა კაცთა ზედა, მაგრამ მეორემან კაცმან, ესე იგი, ქრისტემან ღმერთმან, რომელმანცა კაცთ-მოყვარებისათვის მიიღო კაცობრივი ბუნება ჩვენი და შეაერთა ღვთაებრივის ბუნებისა თანასწორ, მან მოგვანიჭა აღდგომა მკვდართა და თვით სიკვდილითა სიკვდილი განაქარვა, თქმისამებრ პავლე მოციქულისა: „რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკვდილი და კაცისა მიერ აღდგომა მკვდართა. (კორინ. 15—21.). რათა უმეტეს პატივსა და ხარისხსა შინა აღეყვანა კაცი, მისდა ხატად და მსგავსად შექმნილი სარცხვინელად ეშმაკისა, ამისამებრ არა თუ დაეცა ადამ და შთამომავალნი მისნი, არა არამედ უმეტეს პირველისა აღამაღლა იგი ღმერთმან, და ნაცვლად საშობისა მოგვცა სასუფეველი ზეცისა და აწ თანასწორ მარჯვენით მამისა მჯდომარე გვეყო, მსგავსად მეექვსის სიმოვლის

სარწმუნოების მწვერისა: „ამაღლა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა“. აწ ვითარცა უუზენაესი იგი მეუფე, ეგრეთვე მეორეცა ესე პირი მწვემსთ-მთავარი ჩვენი მამა გაბრიელ იგულისხმების ზეცად ამაღლებულად და მჯდომარედ მარჯვენით მამისა. ხოლო აქა ხრწნადი, საწუთოა და აჩრდილი ცხოვრება ჩვენი არცადა ირიცხების ცხოვრებად, არა, არამედ მომავალი იგი საუკუნო და დაუსრულებელი ცხოვრება, 11-ტე და 12-ტე სიმოვლის სარწმუნოების მწვერისა: „მოველით აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა.“ და ჭეშმარიტ არს, აწ რომლისათვის ნაცვლად მწუხარებისა სიხარული გვმართებს, რამეთუ ჩვენთვის ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და სიკვდილი განაქარვა, თქმისამებრ პავლე მოციქულისა: „რამეთუ უკეთუ გვრწამს, ვითარმედ იესო მოკვდა და აღსდგა, ეგრეთვე შესვენებულნი იგი იესოს მიერ მოიყვანეს მასთანა.“ (თესალ. 4—14). ამისამებრ რომელნი ესვენ უფალსა და მსახურობენ მას მარადის უფლისათანა სუფევენ მისის უეტყველის სიტყვისამებრ: „რათა სადაცა მე ვიყო მუნცა თქვენ იყენეთ.“ (იოან. 14—3) ცა და ქვეყანა წარხდება, ხოლო სიტყვა ღვთისა არ შეიცვლება: „ცანი და ქვეყანა წარხდენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხდენ.“ (მატ. 24—35). ამისათვის ჩვენ ზოგადთ მისთა გლოვარეთა გვიხაროდეს, რამეთუ აწცა უუმეტეს მეოხ არს იგი ჩვენთვის და შუამდგომელ წინაშე ღვთისა აწდა უკუნისამდე. ხოლო სხვათა მისთა ფრიადსა ღვთისა სათნოსა და კეთილსა ღვაწლსა და ცხოვრების მისის წარმოთქმას არ ვსაქიროებ, რადგან კარგათ იცით თქვენ და ყოველმან მართლ-მადიდებელმან ქრისტიანემან და აღწერილ არსცა; მხოლოდ აწ ჩვენ ვნატრიდეთ და უღალადოთ მას: გიხაროდენ მეუფეო წმიდაო გაბრიელ! რომელმან მიიღე აწ გვირგვინი, რომელსაც იღვწილ ამ ქვეყანაზე! იხილე იგი, რომელსაც სული შენი ეძიებდა მარადის! შეუერთდი შენ მას, რომელიც იყო წადილი და მისწრაფება შენი! გასძედ ხილვითა და სიტყვითა ტუბილისა და

საყვარელისა მუფისათა, რომლისათვის გწო-
და და გწყუროდა ამ ქვეყანაზე! და აწ იგი
უწოდს მას ქეშმარიტად სანატრელითა ხმითა:
„შოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და
დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუ-
ფეველი დასაბამითგან სოფლისა.“ (მატთ.
25-34). და ნეტარ არს რამეთუ ამიერიდგან
მოელის სიმართლისა იგი გვირგვინი. ამასთანა-
ვე დაესძენ, რომელ რადგან ცხადად და ქეშ-
მარიტად მოწმობენ მისთვის მრავალნი მისნი
კეთილნი, საჩინო და ბრწყინვალე ღვაწლნი და
საქმენი, და ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა
მისი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მისნი,
მსგავსად მოციქულთასა, და მისთვის იხარებენ
ზოგად კათოლიკე სარწმუნოების სამოციქულო
ეკლესიები, სასოებენ და შეტრფიან წმიდანი
და ყოვლადსამღვდელონი მიტროპოლიტნი,
არხიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველ-
ნი სამღვდელონი და სამონაზონი დასნი ერთ-
მამ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა თანა,
ამისაებრ არა საეკვო საგულისხმო არს, რომ
დაიდვას მისთვის წლიური მოხსენება და შე-
ყვანილ იქმნეს იგი სენიაქსარში სხვათა წმი-
დათა მოციქულთა, მღვდელთ-მთავართა, ღირს-
თა და მამათა შორის, რომლისათვის ჩვენ
უშეტეს, ხოლო აწ ჩვენამდის ვალდებულთა
შეობად ჩვენდა და ძეგლათ ხსოვნისათვის მისის
მეუფებისათვის მისის მეუფებისა, დღეიდგან
დაესდვათ წესად, ამავე ეკლესიის მოწმობით
რათა ყოველ წლობით აღსრულდებოდეს ამა
ეკლესიაში 26 იანვარს უსისხლო იგი მსხვერ-
პლის შეწირვა და ბანაშვიდი და ნეტარხსენებუ-
ლის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისთვის,
უკეთუ არა შეხედდეს პარადი ხელმწიფისა, და
ოდესაც შეხედეს ესრეთი გარდატანილ იქმნეს
მგორე დღით და აღსრულდებულ; და რომელ
მარადის ყოველ წლობით უსისხლო მსხვერპლი
ესე შევსწიროთ და შეიწირებოდეს ჩვენგან,
ამა ლოცვისა და ეკლესიურ ხსოვნისათვის ჩე-
ნის უღირსებისამებრ, სასოებით, შიშით და
კრძალვით ვილოცოთ მისთვის, რომ საუკუნო-
სა ცხოვრებასა შინა წიაღთა აბრაამისათა დაუმ-
კვიდროს მას განსვენება: სადა იგი არა არს

ქირი, არცა მწუხარება, არა ურვა, არცა სულ-
თქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი
დაუსრულებელი, და ჩვენ მსასოებელთა მისთა
აწცა მადლითა და მეოხებითა მისითა ღმერთი
შეგვეწიოს და შეგვიწყალოს და გვაცხოვნოს
ამინ. *)

რა ღამაშავე?!

(ჩემი აღსარება)
(დასასრული**)

თებერთელის პირველ რიცხვში ქალაქის
თავი ჩამოვიდა დამშვიდებული, მასწავლებლე-
ბი დაწყნარდნენ, საზოგადოება და პრესა
გაჩუმდა და ნორმალური მეცადინეობა გაგრძე-
ლდა სკოლებში. ქალაქის თავი დაიმედებული
იყო, რომ ოლქის მზრუნველი სიტყვას უკან
არ წაიღებდა და საქმის დაწყნარებას ღირეკციას
მოსწერდა. გავიდა სამი თვე, ღირეკციას
აღარაფერი მოუწერია, ინსპექტორი შერცხვე-
ნილი დარჩა და სკოლებში აღარ მოგვეკარებია;
სამაგიეროდ ის დარბოდა ღირეკტორთან და
აქეზებდა მას, როგორმე გაეტანა თავისი გა-
ნკარგულება; ღირეკტორმაც თავი მოაბეზრა
მზრუნველს „რაპორტების“ წერით და ორჯერ
კიდევაც ჩავიდა ტფილისში მზრუნველთან.
დადგა მისი; მოახლოვდა მოწაფეთა გამოცდის
დრო და ღირეკტორმა მისწერა ხელახლავ ვამ-
გეობას შემდეგი შინაარსის ქალაღი: „მაც-
ნობეთ, რა საფუძვლის ძალით არ მოიყვანეთ
სისრულეში ჩემი დადგენილება ოდიშარისა და
ნაკლიშვილის გადაყენების შესახებ, როდეს-
საც მე ოლქის მზრუნველმა ხუთ თებერ-
ვალს ქალაღით მაცნობა, რომ ის არ არის
წინააღმდეგი ჩემი განკარგულებისაო“. ღირე-
კციის მოწერილობის შინაარსი დაუჯერებელი
და საეკვო შეიქნა ქალაქის გააგეობისათვის იმი-
ტომ, რომ პირველს თუ ორს თებერვალს ქა-
ლაქის თავი ჩამოვიდა ტფილისიდან მზრუნვე-
ლის ასეთი დაპირებით და საიდან შეიძლებოდა,
რომ ხუთ თებერვალს ის მოსწერდა ღირეკტორს
ამგვარ ქალაღს ღირეკტორს. პასუხი არ

*) ეს სიტყვა გამოვიცა აწ უკვე განსვენებულის
ავტორის შვილმა მღვდელმა ნ. ინჯიორველმა.
**) იხ. „ზინ. საქ.“ № 23-24.

გასცლა და 17 მაისს გაუგზავნა ქალაქი პირდაპირ მზრუნველს, რომელშიაც მოაგონა ქალაქის თავმა მას თებერვლის პირველ რიცხვებში ტფილისში მასთან ჩასვლა და მისი დაპირება: გათავდა მისი და ქალაქის სკოლებში გაიმართა, თანახმად დირექციის სურვილისა, ინსპექტორის თანადასწრებით ოთხსავე სკოლის უკანასკნელ განყოფილებების მოწესაგლეოთა საჯაროთ გამოცდა, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის თავი კომისიის წევრები და სხვა საპატიო პირნიც. გამოცდა გაგრძელდა ერთ კვირას. მონაწილეობას ლებულობდნენ უმეტესად ის მასწავლებლები, რომელსაც წელს ჰყავდათ გასათავებელი უკანასკნელი განყოფილებანი; მე გამოცდაში მონაწილეობა არ მიმიღია; ერთი იმიტომ, რომ არ გამებრაზებია ინსპექტორი და უსიამოვნო ინციდენტი არ შემხვედროდა და მეორეც, რადგან წელს მეორე განყოფილება მყავდა და მოსწავლენი განთავისუფლებულნი იყვნენ საჯარო გამოცდისაგან, ამიტომ დირექციის განკარგულებით დამლეე მისს გავანთავისუფლეთ და გამოცდაზე დასწრებას ყოველთვის სავალდებულოთ არ ვთვლიდი, ხანდახან კი ვესწრებოდი. მესამე, სასწავლებელში, სადაც მე ვმასწავლებლობ, უკანასკნელ განყოფილებაში წელს მეცადინეობდა მასწავლებელი ქალი მარიამ ღამბაშიძის ასული, რომელიც მონაწილეობას იღებდა თავისი მოსწავლეების გამოცდაში. ათ ივნისს დამთავრდა ოთხსავე სასწავლებლის მოსწავლეთა გამოცდა. ინსპექტორმა უკმაყოფილება გამოაცხადა პირველი სკოლის მოსწავლეთა ცოდნის შესახებ ანგარიშში (ოდიშარიას კლასი) და მესამე სკოლის ღამბაშიძის ასულის მოსწავლეების შესახებ ყველა საგანში. თუმცა არც ერთს და არც მეორეს იმდენი ნაკლი არ არ ჰქონდათ, მაგრამ „ძალი აღმართსა ხნავს“ და რადგან ინსპექტორს სახეში ჰქონდათ, ქალაქის სკოლების დამცილება, ასე ინება: საეგზამენო სიას ხელი მოაწერა და წავიდა ჩვენგან. წავიდა და თან შეუღდა თავისი მიზნის შესრულებას: მოახსენა დირექტორს, რომ იმ დანაშაულს, რომელიც ჩაიდინეს ოდიშარიამ და ნაცვლიშვილმა, კიდევ დაემართა ის,

რომ „იმ სასწავლებელში, რომელსაც განაგებს ოდიშარია, მოსწავლეები ანგარიშში სუსტნი აღმოჩნდნენ. და იმ სასწავლებელში კი, სადაც ნაცვლიშვილი მასწავლებლობს საჯარო გამოცდის დროს მოსწავლენი ყოველ საგანში სუსტნი იყვნენ“—ო. დირექტორმაც იშონა საბუთი და გაუგზავნა მზრუნველს გროზდოვის ყალბი მოხსენება. შეაკეთეს საქმე; გამგეობა და მასწავლებლები პასუხს ველოდით მზრუნველისაგან 17 მაისს გაგზავნილ ქალაქდზე და თვე ნახევრის შემდეგ ველირსედ შემდეგს განსაცვიფრებელ პასუხს, რომელსაც 27 ივნისს ხელს აწერდა მზრუნველი; მომყავს აქვე შინაარსი:

„ლადო ნაცვლიშვილს ის ბრალი ედებს, რომ მან 1912 წ. 16 დეკემბრის გაზ. „იმერეთის“ მე-68 ნომერში უადგილოდ გამოაქაშა და მკაცრი კრიტიკა გაუკეთა გამგის მოქმედებას და თან მიაწადა მას ისეთი გეგმა მოქმედებისა, რომელიც არ ეკუთვნის მასწავლებელს, ამას გარდა იმ სასწავლებლებში, სადაც მასწავლებლობს ნაცვლიშვილი, საჯარო გამოცდის დროს მასწავლეები ყველა საგანში აღმოჩნდნენ სუსტნი. აღმართსა ცრუ ცნობები მისცა დირექციას გაკეთალებას რიცხვის შესახებ, ამასთანავე იმისი მასწავლეები სუსტნი აღმოჩნდნენ ანგარიშის ცოდნაში. „რაც შეეხება ჩემს დაპირებას მასწავლებლების თავის ადგილზე დაბრუნების შესახებ, მე თქვენ შეგზარდით მათ დატოვებას მსოფლოდ ამ სასწავლო წლის განსვლამდისა“. და ბოლოს მზრუნველი უმატებს: „მთუ შედგათ ასეთი შემცდარი მოქმედებისა, არც აღმართსა და არც ნაცვლიშვილს არ მოუნდამებიათ და არ უნდათ კეთილგანწყობილების ადგილსა დირექციასთან; ამგვარ ზირობებში ნაადრევა კახოვოს დირექციას 16 იანვრის განკარგულებას შეცვლას მათი დათხოვის შესახებ.“ როგორ მოგწონთ ასეთი ბრალდებანი?! 16 იანვარს დირექციამ სხვა ბრალდებანი წარმოადგინა, მოსწავლეთა გამოცდის შემდეგ კი—სულ სხვა მოტივები წარუდგინა მზრუნველს და ყალბი მოხსენებით ფონს გადის. მესამე სასწავლებელს განაგებს ნ. მესხი უკანასკნელ განყოფილების მასწავლებლად იყო მ. ღამბაშიძის ასული და მოსწავლეთა

ბი რომ სუსტნი აღმოჩნდნენ „ეს ლადო ნაცვლიშვილს ბრალიაო“ ამას ყოველივეს გამოვარკვევთ მალე; ნუ გონია ბ-ნ გროზდოვს, რომ ეს სიყალბე შეარჩინოს მას ქალაქის გამგეობამ ან ლადო ნაცვლიშვილმა. შეიძლება მან მისი რაიონის სკოლებში, სადაც წინად მე მიმსახურია, როგორც, მაგალითად, ეწერის საწავლებელში გამგედ, ან დიდიჯიხაიშის სასწავლებელში, სადაც გაყვანილი ვიყავი გამგედ, რაიმე ნაკლულოვანება ნახა რევიზიის დროს, დარწმუნებული ვარ, თუ სკოლნოდა რომ მე ამ სკოლებში მიმსახურნია, უსათუოდ მოახსენებდა დირექტორს, „რომ ყოველივე ნაცვლიშვილის ბრალიაო“, ინსპექტორმა გროზდოვმა მოატყუილა დირექტორი, რომელმაც შეუმოწმებლათ ყალბი მოხსენება წარუგზავნა მზრუნველს. ჩვენ ქალაქის სკოლებში კლასის სისტემა გვაქვს შემოღებული, ე. ი. პირველი განყოფილებიდან დავიწყობთ მეცადინეობას და ყოველ წელს გადავყვებით ხოლმე ჩვენ ჩვენს მოსწავლეებს შემდეგ განყოფილებებში; შარშან მყავდა პირველი, წელს მეორე და მომავალ წელში მეყოლება გამოსაცდელი ვასათავებელი განყოფილება 22 წლის განმავლობაში თუ კარგად წამიყვანია ყველგან სკოლის საქმე, ნუ თუ ეხლა ველარ მოუვლი ერთგანყოფილებას! მაგრამ კრილოვის „მგლისა და კრაისი“ არაკის ზგავსად ირჯება დირექტორი. აქ მეტად განსაცქიფრებელია სამოსწავლო უმაღლესი მთავრობის მიერ საქმის გაცნობის შემდეგ პატიოსანი სიტყვის მიცემა და შემდეგ ამ სიტყვის უკან წაღება. ქალაქის თავი იმდენად ხომ ვერ გაკადნიერდებოდა, რომ მოეთხოვა მათგან მაშინვე ხელ წერილი! პატიოსანი სიტყვა უთხრეს, დაამშვიდეს და გამოისტუმრეს. დასასრულს, რაც უნდა მართალი ვიყოთ, მზრუნველი, როგორც მხედავთ, ისე არ არის თანხმა ჩვენს დატოვებაზე, თუ გამგეობამ და მოსწავლეებმა ბოდიში არ მოვიხადეთ დირექტორისთან და არ მოვიმადლიერეთ დირექტორ-ინსპექტორი. ბოდიშს მაშინ მოიხდის ადამიანი, როდესაც რაიმე დანაშაული მიუძღვის, ჩვენ კი ის დანაშაული ჩავიდინეთ, რომ უმაღლესი მთა-

ვრობის მიერ დამტკიცებული 1881 წლის სამოსწავლო გეგმა კანონიერად და წმინდად დაცვათ.

სამსახურიდან ჩემი გადაყენება დიდი, ამბავი არ არის, ხოლო სამწუხაროა ის, რომ, თუ დირექტორი ქუთაისის მოსწავლეებლები დაამარცხა, სექტემბრიდან მთელი გუბერნიის სოფლის მოსწავლეებლებს მასვე მოსთხოვს და 81 წლის გეგმას ფეხ-ქვეშ გათელიავს, მუნჯურ მეთოდსაც გაამეფებს ქართულ სკოლებში, „ერთგულ მოსწავლეებებს“ უხაროდეს, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით დაემარცხდით, მაგრამ პრინციპიალურად გამარჯვებული ვართ; ჩვენ შემშლით არ მოვკვდებით, კიდევ მოვახერხებთ შეგნებულ საზოგადოების დახარებით ლუკმა ვიშოვოთ, ხოლო ისინი კი შერტყენილი დარჩებიან და შესაფერის მსჯავრსაც დასდებს საზოგადოება მათ მელურ საქციელს.

ივლისის ხუთს ქალაქის გამგეობამ და კომისიამ მოახდინა სხდომა, რომელზედაც მოიწვიეს გარეშე საპატიო პირნიც და ითათბირეს, როგორ და რით ებრძოლონ ასეთ უსამართლობას. დაადგინეს: ეხლავე განასახივრონ ხელმწიფის მოადგილესთან სამოსწავლო მთავრობის ასეთი განაჩენი, თან გაუგზავნონ იანვარში შედგენილი ვრცელი მოხსენება, ამასთანავე მიიღონ ზომები, რომ ქალაქის სკოლები გადაეცეს სხვა უწყებას. იმ მოსწავლეებს, რომლებიც პრინციპისათვის დაისაჯნენ, აღმოუჩინონ დახმარება, როგორც ნიეთიერად, აგრედვე მით, რომ უშოვნონ შესაფერისი ადგილი იმ შემთხვევაში, უკეთუ ხელმწიფის მოადგილემ დაამტკიცოს სამოსწავლო მთავრობის დადგენილება; დანარჩენმა მოსწავლეებმა კი, რომელთაც გაბედულად მხარი არ დაუჭირეს ამხანაგებს, თვითონ მოიძებნონ თავისთვის ადგილი, თუ ქალაქის სკოლები დაიხუროს, — დიან, თუ კი ყველას თანხმობა გვექონებოდა, მაშინ ასეთი ამბავი არ ასტყდებოდა, მაგრამ ზოგი ჩვენგანი შორიდან სერის უკურებს, გულში იციანის, უხარია; წყალი რომ აიძვრება, თევზს დაიჭერს, არც აქვთ არის, არც იქით: დროს უყურებს, რადგან ხშირად

გაჩუქებით მოიგებს და უკეთეს ადგილს იშოვნის. ასეთი ამხანაგების ორ სკამზე ჯდომას მომავალი სექტემბერი დაგვანახებს; ვნახოთ, როგორ შეასრულებენ თავიანთ სიტყვას!

ლალო ბზვანელი.

მოწერილი ამბები.

სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს!

გაზეთ „თანამედროვე ქვეყნის“ მე 17 ნუმერში ვილატ „ხვადაბუნელი“ გამომდგარა და რიხით იძახის; „ბევრ უკანონობას ჩადის მღვდელი ყიფშიძე, მაგრამ ვინაა სოფლის პატრონიო“. არ ვიცი, რამ აიძულა ეს ვმე ბატონი ქორიკანობის მიმართვისათვის და რათ დასჭირდა, რომ ხალხის თვალში (იგულისხმეთ, ვინც არ იცნობს) მოძღვარ ყიფშიძის უმწიკვლო სახელს ჩირქი მოსცხოს. მე, როგორც ამ მღვდლის ერთი მრევლთაგანი, საჭიროთ ვთელი ვაუწყო პატივ-ცემულ მკითხველებს, რომ ყოველივე ის, რაც ბ. ხვადაბუნელის კალამს დაუწერია ამ ფრიად სასიქადულო მოძღვრის შესახებ, სიმართლეს მოკლებულია.

ქორეთის მრევლი შესდგება ორას ორმოცდა ათი მოსახლისაგან, აქვს სამი ეკლესია: ერთი კალუთაში, ორი კი ქორეთში. შტატის მაცხოვრის ეკლესია, რომელიც აშენებულია ქორეთში, უხსოვარ დროიდან უგალავნო, უიატაკო და გლახაკარით იყო თუ კარათ არ ჩავთვლით რაღაც ფიცრის ნაჭერს. როგორც კი მოვიდა მამა პარმენი, დაუწყო მრევლს შეგონება და იქამდის მიიყვანა საქმე, რომ ჩვენი სამლოცველოს ნახვა ეხლა კაცს გაეხარდება.

სახარებას, რა თქმა უნდა, წირვაზე კითხულობს ყოველი მღვდელი, მაგრამ ნაწირვებს ძალიან ცოტანი უხსნიან ხალხს მის მნიშვნელობას; ჩვენი მღვდელი კი სახარებას გასაგები ენით გვიხსნის წირვის შემდეგ. სათნოებით, დახმარებით და კაცის მდგომარეობაში შესვლით ხომ ბადალი არა ყავს.

ჩვენს სოფელში არსებობდა ერთ-კლასიანი სკოლა, რომელიც სულს დაფავდა; მიუხედავად იმისა, რომ იათასი მეცამური გლეხისა, რომღე-

ბსაც ეს სკოლა ეკუთვნის მასში მოწაფეთა რიცხვი თუთხმეტს არ ასცილებია. გადაკეთება ორ კლასიანათ ამ სასწავლებლისა ბევრმა სკადა, მაგრამ ამოთ, აქაც მამა პარმენი მფარველ ანგელოზათ მოველინა სოფელს. მოუსვენარი შრომით, სამი თუ ოთხი ინტელიგენტის დახმარებით, მან იქამდის მიიყვანა საქმე, რომ ეხლა ჩვენს სოფელს ორი სასწავლებელი ყავს და შვიდი ათასი მანეთი ორ-კლასიანი სკოლის შენობის ასაგებათ ხაზინაში შენახული აქვს.

რაც შეეხება კალუთის გალავანის კიშკარს, აქაც ბ. ხვადაბუნელი მოიკრუებს, მე მგონია. დანამდვილებიო კი არ შემოძლია ვთქვა რამე, გარდა იმისა, რომ კალუთაში ეკლესიის გალავანი მ. ყიფშიძის მეოხებით არის გაკეთებული და არც გამიგონია, მის გაკეთებაში რაიმე სიყალბე ჩაედინოს მღვდელს და არც ჩაუდენია, თორემ ყველაზე უმალ ამას გავიგებდი მე და არა რომელიმე ქარავანს დაშორებული კორესპონდენტი.

ეხლა, ძვირფასო მკითხველო, თვითონ საჯეთ, შეიძლება თუ არა ამისთანა მღვდელი ისე უმართებულოთ მოიხსენიოს კაცმა, როგორც ეს ბ. ხვადაბუნელს უქნია? ანდა ყოველივე ის, რაც ჩვენში მოიმოქმედა მღ. ყიფშიძემ განა უკანონობაა? განა ცუდი პატრონობა გაუწევია მას სოფლისთვის? მე ვფიქრობ, არა, და ამიტომაც ზიზღს და პროტესტს ვუცხადებ ხვადაბუნელს ჩვენი მოძღვრის ტყვილაუბრალოთ შეურაცხყოფისათვის და დაუმატებ: მისი ქცევა სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს!

მასწავლებელი ნ. ქამუშაძე.

თხოვნა ქართულ-გაჰგადიანი მოქალაქისა

ეს არის ეხლა მივიღე წერილი ერთი ქართველი-გაჰგადიანი მოქალაქისა, რომელიც თავის წერილში ღიღს მადლობას და თან თხოვნას მიგზავნის ქართული წიგნების მიწოდებისთვის.

ეს მოლა მწერს: ჩემს გარშემო სოფლებში ქართული წერა-კითხვის მკოდნე ბლომად

მოიძებნება, რომელთა თხოვნას ჩემდამი საზღვარი არა აქვსო.

იხვეწება: მოგვაწოდეთ ქართული წიგნები, ქართული ჟურნალ-გაზეთები და ყველა ეს ჩემს კისერზე იყოს, რადგანაც, როცა მე თქვენისთანა ხალხისაგან ზურგი გამაგრებული შექნება, დარწმუნებული ვიქნები თქვენგან ხელის შეწყობისა, მაშინ მე აქ მოქმედება თამამად შემეძლება; ხალხიც, დარწმუნებული იმ მხრივ, რომ ჩვენ მათ არ ვივიწყებთ, გვსურს მათი სურვილის განხორციელება: ესე იგი, ქართული წიგნების მიწოდებით ხელისშეწყობა, ერთის მხრივ ჩვენდამი ნდობა გაიღვიძებს, მეორე მხრივ კი სიყვარული ქართული წიგნაკისა გაღვივდებაო. და ეს ხომ გადაბმა იქნება იმ ძაფისა, რომელიც უღმობელმა ისტორიამ ესე გულგრილად გასწვიტაო. კიდევ ბევრს რასმე მწერს ეს მოლა; დიდ სიხარულს აცხადებს იმის გამო, რომ ჩვენ გვსურს მათი მიზნის განსახორციელებლად ხელის შეწყობა.

როგორც ეს მოლა იტყობინება, იმის მხრის ქართველ მაჰმადიანებში ქართული წიგნების სიყვარული დიდი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიმწოდებელი არიან ჰყოლიათ.

მწერს აგრეთვე: როგორც ვიცი და გავიგე, თქვენ ქართული წიგნების მიმყოლი ყოფილხართ და ვგების ჩვენც რამე მოგვაწოდოთო. ამ დღეებში მე იქ ვაპირებ გამგზავრებას, მსურს, ქართული წიგნების წაღება, და იმედია, ქართული საზოგადოება ხელს შემეწყობს ქართული წიგნების უფასოდ დათმობით, რომ იმ კითხვის ქართველი მაჰმადიანები თვითონ ვნახო, თითონ დავიარო ამ მოლის შემწეობით ის კუთხე და გავიგო, თუ რამდენად წყურვილი აქვთ ქართული წიგნებისა.

ნუ დაივიწყებს ქართველი საზოგადოება, რომ წერილს იწერება მაჰმადიანი ქართველი მოლა, რომელიც არამც თუ ხელს უშლის ყველასფერს ქართულს, როგორც ამას სხვა ფანატიკოსი მოღვაწე სჩადიან, არამედ თვითონ ტრილიებს ჯარასავით, რათა გააგებინოს თავის მეზობლებს, რომ ისინიც ისეთივე ქართველებ-

ბი არიან, როგორც ჩვენ; რომ ეროვნული თვითცნობიერობის მხრივ სარწმუნოება არაფერ შუაშია.

იმედია, ქართველი საზოგადოება უკუბრუნდებოდ არ დასტოვებს პატივცემული მოლის თხოვნას და მეც საშუალებას მომცემს ქართული წიგნების უფასოდ დათმობით იქით გავემგზავრო.

იასონ კერესე—იძე.

ზუგდიდის მეორე-კლასიანი საქალებო სამისწავლებლო შკოლის ბედი.

მთელს ზუგდიდის მაზრაში ამ ტიპის შკოლა ერთად ერთი გვექონდა. სახლი, რომელშიდაც მოთავსებულია შკოლა, პრინცესა მიურატმა შესწირა შკოლას და დაარსებიდან დღემდე სწავლა არ შეწყვეტილა. მართალია ეს სახლი არ იყო ახალი სტილით აშენებული და შკოლის საჭიროება თხოულობდა უფრო დანიშნულების შესაბამის სახლს, გარნა ვიდრე საშვალბეა გამოჩნდებოდა, ეხლანდელ სახლში ძელიან კარგათ მიდიოდა სწავლის საქმე. მჯობნის მჯობნი არ დაიღვევა, თორემ მაინც და მაინც დასაწუნი არც ეს სახლი იყო. არც მთავრობა თხოულობდა ერთბაშად, დაჩქარებით სახლის აშენებას ამ ბოლო დრომდღი. შარშან ხმა დავარდა, რომ თეკლათის დედათა მონასტერში გადააქვთ ეგ შკოლაო. არავის ჯეროდა ეს სამწუხარო ხმა. ასეა თუ ისე შკოლა დაიხურა, მოესპო სიციცხლე, არ ვიცი თუ აწ ხად გაყოცხლდება იგი, ჩვენ კი დავრჩით პირლია, ჩალა გამოვლებული. მხოლოდ ის და დავგრჩენია, რომ ვიგლოვოთ დაკარგული და ვიოცნებოთ წარსულით. განსაკუთრებით სამწუხაროა ჩვენი ადგილობრივ მცხოვრებთა საერთო და კერძოთ სამღვდლოების უმეცრება. მას შემდეგ, რაც შკოლის გადატანის ხმა დავარდა, მთავრობამ მოითხოვა ათი-ათასი მანეთი შემეწეობა ადგილობრივ წყაროებიდან. ამაზე ყოფილმა მაზრის უფროსმა ბ. ლაფროვმა მოისურვა დახმარება რაიმე ღონის ძიებით, მაგრამ უფულოდ რა შეიძლებოდა. წინა-დადება მისცა ადგილობრივ მცხოვრებთ გამოვლოთ ეს ფული: მოეპტრეთ ექვსი ათას მან., სამღვდლოებას სამი ათასი მან. და დანარჩენი ათასი მანეთი მოეპტრება კეთილმსურველ პირთაგან. ამაზე კრება ქონდა სამღვდლოებას ყოველად სამღვდლო

გურია-სამაგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს ნება-რთივით. მოისმინა რა კრებამ გასახილველი საგანი, უმეტესობამ უარი განაცხადა შეწირულებაზე. უმთავრეს მიზეზად, რა თქმაუნდა, სიღარიბე წამოაყენეს. მართალია, ვინ არ იცის ჩვენი სამღვდელთა სიღარიბე, მაგრამ ისიც მართალია, რომ ბრჭყვიალა ოქროვერცხლის ჯვარ-მენდალ-ჯილდო-ორდენების შექმნის ხარჯი ყველას მოეპოვება. საკვირველია, რომ დიდების მოყვარე ხალხს, გონების საზრდო არად მიაჩნია, თითქო ამცირებდეს მის დიდებას. მეორედ, კიდევ უარესი და უბრმავესი მოვლენა აი რა იყო: თურმე შურიანი თვალთ უცქეროდნენ ზოგიერთი მამები ამ შკოლის გამგებელ-მასწავლებელს მ. ს. თათარიშვილს, ამისთვის ჩუმხუმად მოქმედებდნენ შკოლის წინააღმდეგ. ვითომ მ. თათარიშვილს ლუპავდნენ, ნამდვილად კი საზოგადო კეთლი საქმე ითვლებოდა ფეხქვეშ, თუმცაღა მართალია, ისიც რომ მ. თათარიშვილი განიცდის საგრძნობელს დანაკლისს გონებრივად დანივთიერადაც ამ შკოლის დახურვით. ნეტავ რა დაიმსახურა შურიანობისა და ზიზღის ღირსი მ. თათარიშვილმა, მე არ მესმის. ბოლოს დროს კრებამ, როგორც იყო, გადაუგდო ათასი მან. ყველა ხომ არ ვიქნებოდით სიკეთის შტერი, მაგრამ რა გამოვიდა, ძუნწი დედაბერივით ვიყვირეთ, ვიყვირეთ და ბოლოს სამი ათასის მაგიერ ერთი ათასი აღუთქვივით, ისიც უგულოდ უშინაარსოდ. აჰა შედეგიც: შკოლამ სული დალია, ყოველივე მისი ორგანიზირებული, ღძრავად იხილვებიან. მაგრამ მწამს, რომ გამოჩნდება რომელიმე მნათობი, შთაბერავს ამ შკოლას უკვდავ სულს, მოასხამს ფრთებს და გააფრენს შორს, შორს, იქ, სადაც არც კია საჭირო ეს შკოლა. იქ უამისოდაც გონებითი საზრდო თავსაყრელი ყრია.

სოფლის მღვდელი

მიტროპოლიტი გრაფი ა. შავსიძე.

ღვთისა და მთელი გალიციის რუსთა მიტროპოლიტის კათედრა უკავია მიტროპოლიტს გრაფს ანდრია შეპტიცკის, რომელიც ითვლება გალიციის და ამერიკის ბერძენ-კათოლიკეთს ანუ უნიატების. თავად შეპტიცკეს წინადაც ეჭირათ მიტროპოლიტის კათედრა, მაგრამ, როგორც უკრაინის სხვა წარჩი-

ნებულეებმა, შეპტიცკიბმაც უარჰყვეს თავისი ერი, აღმოსავლეთის საეკლესიო წესი და მხარი დაუჭირეს გაბატონებულ აზრს, რომ უნია ხილია პოლონელთა და უკრაინელთა შორის, რომელმაც უკრაინელებს ლათინიზმი უნდა მოახვიოს თავსა და ამით ხელი შეუწყოს უკრაინელის პოლონელ „ხოლოპად“ გადაქცევას. მიტროპოლიტი ანდრია შეპტიცკი კი სულ სხვა აზრისაა. სამშობლოსათვის სამსახურის გასაწევად იურიდიულისა და ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორმა ანდრია შეპტიცკიმ, მშობლების წინააღმდეგ, გასცავდა ბრწყინვალე სამხედრო ტანთ-საცმელი ბერის უბრალო ანაფორაზე. მას სწავლია გასწმინდოს აღმოსავლეთის ეკლესია ლათინების ზეგავლენისაგან და სჯერა, რომ უნია შესძლებს შეაერთოს დაქსაქსული უკრაინელები. უკრაინის შეგნებულმა შვილმა, ანდრიამ, პირველად აღიმაღლა ხმა, ავსტრიის ზედა-პალატაში თავის სამშობლოს დასაცავად. მისი შემწეობით სარგებლობს უკრაინელთა ყველა საზოგადო-საკულტურო დაწესებულება. გრაფ ანდრიას შეწირულებით შეიქნა უკრაინელთა ეროვნული საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, რომელსაც შესანიშნავი შენობა აქვს. მიტროპოლიტმა ანდრიამ 1901 წ. სამღვდელოებას მიმართა და, სხვათა შორის, ამბობდა, კლასობრივი უბსკრული სამწყსოს და მწყემსის შორის უნდა ამოივსოს და გასწორდეს, მრევლის ყოველ საკულტურო და საეკონომიო დაწესებულებების, როგორც მაგ. განმანათლებელ წრეებისა და საკოოპერაციო დაწესებულებათა სათავეში სამღვდელოება უნდა იდგეს; ვისაც ხალხისათვის ზრუნვა არ შესწევს, იგი მღვდლად არ უნოა წავიდესო. მიტროპოლიტი ანდრია ვლადიმერ სოლოვიოვის იდეების მატარებელია და მისი უნიატობაც ამავე იდეების ფარგალში ტრიალებს. მთელი მოღვაწეობა მიტროპოლიტი ანდრიასი მისი სამშობლო ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვას წარმოადგენს.

ს ო ფ. ჩ ო რ ჯ ო

(ქვემო რაჭა)

ეს სოფელი მდებარეობს ქვემო რაჭაში, ხევანჯარის საზოგადოებაში და შესდგება სულ ასი მეკვამურისაგან. უმრავლესობას, რა თქმა უნდა, გლეხ-კაცობა შეადგენს. მდებარეობა მშვენიერი აქვს, ჰაერი საღი.

აქაური მცხოვრებლები უმთავრესად ხენათესგას და მევენახეობას მისდევენ. მევენახეობა კი უფრო ხელსაყრელია. პური და სიმინდი, ადგილის ვიწროობისა გამო, საკმაო არ მოდის, რომ გლეხმა წლიდან-წლამდე გაჰყვებოს ცოლშვილი. არც ისეთი ბაზარი არის ახლო-მახლო რომ გაქირავება შეიძლებოდეს. ამიტომ აქაურებისათვის ღვინის მოსავალი უმთავრეს სახსარს შეადგენს ცხოვრებისას. მართალია თვალსაჩინო ზვრების პატრონები არ არიან, მაგრამ ვისაც ორიოდე კასრი (ორი ფუთია) ღვინო მოუვა თავისთვის იკლებს და ჰყიდის. აღებულ ფულიდან ყოველგვარ გადასახად-მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და მტერ-მოყვარესაც პასუხს აძლევს. აქაურ ღვინოს კარგი ფასი აქვს, რადგან აგი საუკეთესო თვისებისაა. საზოგადოდ ვგრძნობდებოდა „ყიფიანის“ ღვინო, რომელიც მოდის სოფ. ხევანჯარაში, ტოლაში და ჩორჯოში, განთქმულია და კახურ ღვინოს ბევრად არ ჩამოუვარდება.

ეს სოფელი წინად ერთ სამრევლოს შეადგენდა, მაგრამ გასულ წელს ზოგიერთების უცნაური მოსაზრებით და ხრიკების წყალობით სრულიად ჟაზროდ მოაწერეს ს. ხევანჯარას ყიფიანების ეკლესიის მეორე ჩორჯოს ზედმიწვრილი ეკლესია. არ ვიცი, როგორ დასთანხმდა ამაზე ეპარქიის უმაღლესი მთავრობა, მაგრამ ალბად შეცდომაში შეიყვანა ვინმე. ეს სოფელი უხსოვარ დროიდან შტატის ეკლესიაზე იყო მიწერილი.

სწავლა-განათლების მხრივ ეს სოფელი ძლიერ ჩამორჩენილი იყო სხვა სოფლებზე, რადგან ადგილობრივ შკოლა არ გააჩნდათ და საზოგადოების სამინისტრო შკოლა კიდევ

ვერსის მანძილზე იყო მოშორებული. მაგრამ ეს ნაკლი ადგილობრივმა მღვდელმა მოსპო. მან აუხსნა ხალხს შკოლის საჭიროება და სწავლა-განათლების მნიშვნელობა. ხალხმაც შეიგნო ეს საანბანო ჭეშმარიტება და ამავე მღვდლის მეთაურობით და მთავრობის ნებართვით დაარსებულ იქმნა სამრევლო ერთკლასიანი შკოლა. საშკოლო შენობაც შესანიშნავი გააკეთა სოფელმა იმავე პატივცემულ მამის ნიეთიერი და ზნეობრივი დახმარებით. ასეთი სასკოლო შენობა იშვიათია ჩვენი მხრის როგორც სასულიერო ისე სამინისტრო უწყებაშია. ეს შკოლა თითქმის ოთხი წელიწადია რაც არსებობს, მაგრამ სწავლა ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული სხვადასხვა მიზეზებისა გამო. საჭიროა ეს გარემოება მხედველობაში მიიღონ ვისგანაც ჯერ არს.

ადგილობრივი მცხოვრებნი მარტო შკოლის დაარსებით არ დაკმაყოფილდნენ. მოინდომეს აგრეთვე ტაძრის აშენება. ძველი საყდარი მეტად პატარა იყო და ამიტომ უფრო დიდ საყდრის აშენებაზე იწყეს ზრუნვა. ეს საქმეც, როგორც სხვა მრავალი, ადგილობრივი მღვდლის მ. ერ. გაბიჩვაძის ცხოველის თაოსნობით დაიწყო და ჩინებულადაც შეასრულეს. დიდი ღვაწლი მიუძღვის მამა გაბიჩვაძეს ამ ეკლესიის აშენებაში. მისი მეცადინეობით და შთაგონებით ბაქოელმა ვაჭარმა ვ. ყიფიანმა შემოსწირა ფულად 430 მ. და მხატვრობა კანკელისათვის მშვენიერ ტილოზე გადაღებული, ღირებული არა ნაკლებ 300 მანეთისა. იგივე პირი თავის ხარჯით ღებავს ეკლესიას შიგნით და გარედ. ამავე მღვდლის თხოვნით კისლოვოდსკში მოეპკრე თ. იმედაძემ შემოსწირა ხსენებულ ეკლესიას ფულად 120 მ. და სხვა. ეკლესია დიდია, გუმბათიანი და ქვითაა აშენებული. იგი მაღლობ ადგილზე მდებარეობს და მთელს ქვემო რაჭას დასცქერის. ასეთი ეკლესია არ მოიძებნება მთელს რაჭაში, გარდა ნიკორწმინდის და წესის ისტორიულ ტაძრებისა.

აქვე არ შემოძლია არ აღვნიშნო მ. გაბიჩვაძის ფრიად ენერგიული და პუნქტიური მოღვაწეობა. იგი მთელი თავის ენერგიით ემსახურე-

ბა ხალხს. იგი პირდაპირი მაგალითია ხალხისათვის, როგორც სიტყვით, ისე საქმითაც. მან ბევრი ვაი შესძინა და გაუკეთა თავის სამწყსოს, რომლების აქ ჩამოთვლაც მეტად მიგვაჩნია და ხალხმაც შეიყვარა იგი. მისი კეთილი საქმეები ყველას პირზე აკერია, ახლობელსაც და შორებელსაც. ამისთანა მამების გამრავლება ფრიად საჭიროა, როგორც სარწმუნოებისა ისე ხალხისათვისაც.

ს—ლი.

† ნეკროლოგი.

ოლღა სპირიდონის ასული აბესაძე.

იელისის პირველ რიცხვებში ს. მუხურაში გარდაიცვალა ოლღა აბესაძე. თუმცა სწავლა განააღებდა მას არ მიუღია, მაგრამ პატარაობიდანვე მიყო ხელი ჩვენი მწერლების ნაწერების კითხვას: ნინოშვილის, ყაზბეგის, აკაკის, ი. ჭავჭავაძის და სხვ., ზედ-მიწევნით ქონდა სწორი და საღი შეხედულება ცხოვრებაზე. იყო მდგარი მებრძოლე სოფელში გავრცელებული ცრუმორწმუნოებისა და ქორებისა. წლიურად, როგორც მღვდლის შვილი პენსიას ღებულობდა 150 მან., გათხოვებაზე უარი ჰყო, და ამ ფულებს ახმარდა თავის დის შვილს ნინა შოთაძეს, რომელიც ამ ეამათ სწავლობს მე-8 კლასში იმერეთის ეპარქ. ქალების სასწავლებელში, დასტოვა 100 მან. თავის ძმისწულების სასარგებლოთ.

საუკუნოთ იქნება მისი პატროსანი სახელის ბსნება ყველა მის ნათესავ და ნაცნობთ შორის.

ნესტორ მუხურელი.

მადლობის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესათ გათხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ქვემო ჩამოთვლილ პირთ, რომელთაგანაც ჩემდა და ჩემი ღარიბი შვილების სასარგებლოთ შემოსწირეს შემდეგი: ნესტორ წერეთელმა და პერსენაკმა ხუთ-ხუთი მანეთი, ელისაბედ წერეთლისამ და საშონ ფაღავამ სამ-სამი მანეთი, გრაფინიამ, კალ. კიკინაძემ, ქორქაშვილმა, ელენე ფაღავასამ და მელანია გველეიანისმა ორ-ორი მანეთი, პეტრე წულუკიძემ, იასონ ბაქრაძემ, შარაშიძემ, კრინიციმ, ელენა წულიკიძემ, ვანო გურიელმა, მუშნი დადიანმა, სიმონ ლორთქიფანიძემ, ნაზაროვმა, ხიჩინოვისამ, დავითაიამ, გრ. აღშიბაიამ, თად. კუჭავამ, კოკოჩევმა, სვანიძემ, იოსებ ჭილაძემ, ბაბაღე კვერკველიამ, გრიგოლ ბარათაშვილმა, სონია მაჩაბელისამ, სარა მეფარიანისამ, ზაქარია მაქავარიანმა, ირაკლი თოფურიათ, დავით ხელთუფლიშვილმა, დათიკო ყიფიანმა, ბონდო მიქელაძემ, ელისაბედ ჩიქოვანმა, უზნაძემ, ჩიკვატაძემ, ნინუცა ქოჩაქიძისამ, ნადია მხეიძისამ, ლიზა ნიკურაძემ და ეკატერინე შენგელიასამ თითო მანეთი და სხვ...

გოგუცა ჩაჩავას ქვრივი ასული როსტომ

თავდგირიძისა.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესათ გათხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური სა-

ქმეების“ საშვალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო, როგორც პირადათ ჩემგან, აგრეთვე შთელი კულაშის ჯვარცმის ეკლესიის პრეველთაგან ტუხარეცკის ბუფეტის მმართველს ფილიპე გიორგის ძე ახოზაძეს, რომელმაც ხსენებულ ეკლესიას შემოწირა ერთი წყება ბრწყინვალე შესამოსი ღირებული (80 მ.) და

აგრეთვე ასი მანეთი ფული ეკლესიის გასა-
შვვენებლად.

მლ. ს. ჩაჩუა.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

1-ე заочные кулинарные курсы.

Полный курс лекций для самообучения „спромный и постный, стохъ“, около 100 рецептов кушаний, напитков, печенья, компотов варений, сладких блюд, пирогов и друг. Слишкомъ 300 стр. убористаго шрифр. Цѣна съ перес. налож. плат. 2 в 60 к. НАСТАВЛЕНИЕ, какъ пра ильно вести домашнее хозяйство и приготовить экономиче-ские, вкусные и питательные обѣды съ приложеніемъ разръзки мяса и украшенія стола и блюдъ около 100 стр. съ рисунками. Цѣна 1 р. 20 к. Обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками).

Съ заказами обращаться исключи-тельно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Пе-тербургъ, Пет. стор., Большой пр. № 561—62

40 ДНЕЙ

!!! БЕЗПЛАТНО !!!

Если Вы въ теченіе 40 дней не вы-учитесь свободно говорить, читать, и писать по нѣмецки, французски, англійски и латински по нашимъ самоучителямъ, составлен. по но-вѣйшему методу (всѣ другіе—рек-лама), деньги возвраща-емъ обратно. Цѣна самоучи-теля одного языка съ перес. на-ложен. плат. 1 р. 10 к., 2-хъ—1 р. 90 к., 3-хъ—2 р. 80 к., 4-хъ—3 р. 65 к., Заказы исполн. един. складъ для всей Россіи. С.-Петербургъ, Петербург. стор. Большой пр., 56—567 Я. К. ПЕТЕРСЪ.